სოციალ-დემოკრატიული მუშათა „პარტია" | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 30 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 159 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 159

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1 აგვისტოდან თავისუფლდება ქალაქის მეორე აფთიაქის გამგის ადგილი. თხოვნების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობაში 10 აგვისტომდი. არჩეული პირი უნდა შეუდგეს თავის მოვალეობას ასრულებას 15 აგვისტოდან.

პირობები: ჯამაგირი 450 მ. თვიურათ; ბინის ქირა 500 მ. წელიწადში. (3—1)

## ლტოლვილები და ნაციონალისტები

ლტოლვილების მდგომარეობა ჩვენში დღეს მეტათ გამწვავებულია. საქართველოს სოფლებში დიდი მოსავლის მიუხედავათ ჩვენი ქალაქები დღესაც საშინელ კრიზისს განიცდიან სანოვაგის მხრივ. გირვანქა პურის ფასი 5 მანეთამდე ავიდა და მის ზრდას კიდევ არ უჩანს საზღვარი.

სპეკულიაცია და უსაზღვრო მადა გამდიდრებისა აპოტინებს თავის ბინძურ ხელებს ამ არსებ ბის ერთ უმთავრეს წყაროსაკენ, რომ იგიც მოსწამლოს და ამით მაინც გაუძნელოს გამაგრება და განმტკიცება ახალშობილ რესპუბლიკას. ამით ძირი ეთხრება რასაკვირველია ლტოლვილთა მდგომარეობასაც. მათი შენახვა დასუსტებულ სახელმწიფო ორგანიზმს არ შეუძლია.

თუ ამას დაუმატებთ გაჩენილ სნეულებებს, ხოლერას, ტიფს და სხვ., რომელნიც უმთავრესათ უპმელობით და უსუფთაობის ნიადაგზე ხარობენ და რომელთა გავრცელებას ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობა დიდათ ხელს უწყობს, თქვენთვის აშკარა იქნება ის ტრაღიკული მდგომარეობა, რომელშიდაც ჩვენ ვიმყოფებით.

და ასეთ პირობებში სწორეთ ის ელემენტები, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა იყონ დაინტერესებული ლტოლვილთა ყოფის გაუმჯობესებაში, ისე ენას არ მოაბრუნებენ, რომ საქართველოს რესპუბლიკას, მის მთავრობას და დემოკრატიას არ შეუკურთხონ. მათ მიზნათ დაუსახავთ ამ უბედურთა შველა—ახალი უბედური მეზობლის გაჩენით, საქართველოს განადგურებით.

ნაციონალიზმის ბოროტი ღვარძლი არასოდეს არ ყოფილა ისე მავნებელი, როგორც ამ საკითხში. იგი გესლიან გველზე უფრო მომწამვლელია. ერთი მხრით ამხედრებს ლტოლვილთ და აბოროტებს მათ ადგილობრივ მცხოვრებლებზე. მეორე მხრით ადგილობრივ მცხოვრებთ უნერგავს უნდობლობას ლტოლვილთადმი. მისი მიზანი აშკარაა: ორი გაჭივრებული ერთმანეთს დაატაკოს, რომ შემდეგ მათი სისხლის მორევზე მეფისტოფელისეური ხარხარი გამართოს. მას სურს მათი შავი საქმის მამხილებელი საქართველოს რესპუბლიკანური დემოკრატიაც დაამხოს და თავის ერის დემოკრატიაც ზედ გადააყოლოს.

სომხის შოვინისტები დაშნაკცუტიუნის მეთაურობით სანაქებოთ ასრულებენ ამ ბნელ ხელობას. მარა მათ არც რუსული პრესა რჩება უკან. ერები და კადეტები, უნიღაბო შავრაზმელები და ნიღაბ აფარებულნი, რეაქციის და რევოლიუციის სახელით ქვას ესვრიან სწორეთ ჩვენს დემოკრატიას.

არავის ახლოვს არც მიზეზი ლტოლვილთა გამდევნის, არც მდევნელი მათი: ყველას მიავიწყდა, სათავე უბედურების. ამ სათავს, ამ პირველ წყაროს აქეთ-იქით შემოსდგომიან დევნილთა და მდევნელთა ხელმძღვანელნი და ურთიერთს ფარისევლურათ ამბორს უყოფენ, ძმობას ეფიცებიან, და ერთმანეთის მოსისხლენი აქეთ, ჩვენსკენ მღვერით იცქირებიან. შურთ რომ აქ ისეთი ნაკადულები სისხლისა არ ადენილა, რომ აქ თვით შინაურ მოქალაქობრივ ომს აქამსაც დემოკრატია ცდილობს ნაკლები მსხვერპლით, ქვეყნ ს გაუნადგურებლათ მიაღწიოს მშვიდობიანობის აღდგენას. თითქოს ამ ხალხის მტრებთან, ამ დემოკრატიის მოძულეებთან პირი შეუკრავსო, ჩრდილოეთ კავკასიის „სოციალისტური" ხელმძღვანელნი თავის მხრივ ლტოლვილთა მთელ საშინელებას საქართველოს უტოვებენ საზიდავათ. ამ დღეებში მოვიდა ცნობა, რომ კავკავი, ეს ერთათ ერთი დარჩენილი კარები, საიდანაც ლტოლვილთ შეეძლოთ პურიან ქვეყანაში ცასვლა და ამ რიგათ შიმშილით სიკვდილის კლანჭებიდან თავის დაღწევა, დახშულია, დახურულია; იქ მათ არ მიიღებენ.

რუსეთი, რომელსაც ასე ეტმასნებიან სომხის შოვინისტები და ეტმასნიან დემოკრატიასაც, მათ ასე უდიერათ გულზე ხელის კვრით უპასუხებს. იგი იღებს მათ სამსახურს, იგი მზადაა მოისმინოს გალობა რუსეთის ორიენტაციის შესახებ, მაგრამ ვალდებულებას კი თავზე ვერ იდებს. ლტოლვილნი მას არ ესაჭიროება.

იგი იკრებს მებრძოლთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქროს, ხოლო მას უტოვებს ლტოლვილთ, რომ საქართველოსვე დააწვენ. ჩვენი რუსის „სოციალისტურ" მანტიაში გახვეული შავი პატრიოტები ამის შესახებ, ეჭვი არაა, პირში წყალს დაიგუბებენ, ან და თუ ალაღებს ბაგენი თვისნი, კავკავის უმადურ საქციელში ბრალს ალბათ საქართველოს რესპუბლიკას გაადაბრალებენ.

მაგრამ ჩვენი დემოკრატია ვერ აყვება ამ ბუდიდან გადმოვარდნილ ხალხს, რომელსაც დაუკარგავს უნარი სინამდვილის გაგების და შეურჩენია შხამიანი ნერწყვი გესლის სანთხევად.

ჩვენი დემოკრატია ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავიც დაიცვას და იმ მოძმეთაც დაეხმაროს, რომელნიც მას ძალაუნებურათ შემოეფარენ. იგი მტრებს მტრულად შეხვდება და მოყვრებს მოყვრულათ. ეს უნდა იცოდენ კარგათ ყველა შოვინისტებმა და იმ ხალხის მასსამ, რომელიც უპმებით, ფუჭ-ფუჭებით მოეშურება ჩვენი მხარისაკენ.

## რათ ვემხრობით მიწის კერძო საკუთრებას?

მიწის რეფორმის შესახებ ჩვენ უკვე გამოვსთქვით ჩვენი აზრი: საჭიროთ დავინახეთ ჩამორთმეულ მიწების სოფლის მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებათ გადაცემა განსაზღვრულ ფასით.

ასეთს ჩვენს წინადადებას აქა-იქ უარყოფით შეხვდენ პარტიულს წრეებში, განსაკუთრებით კი ჩვენი მოწინააღმდეგეების ბანაკში.

მაგრამ, ილაშქრებენ ჩვენი წინადადების მხოლოდ ერთი ნაწილის, სახელდობრ—გადაცემულ მიწაში სასყიდლის აღების წინააღმდეგ, თითქოს ეს იყოს საქმის უმთავრესი მხარე. ეს ძალიან სამწუხაროა მით უმეტეს, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეთ ვერავითარი საბუთი ვერ მოჰყავთ, გარდა დემაგოგიურ ხასიათის მოსაზრებებისა: რას იტყვის გლეხი, რომელიც უფასოდ მოელოდა მიწას, ფასით ხომ კადეტებიც და ჩვენი ნაციონალ-დემოკრატებიც ჰპირდებოდენ მას მიწების მიცემასო. ამ მქლე და დემაგოგიურ საბუთს უტრიალებენ გარს და წარა-მარა აყენებენ მას სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ბრუნვაში. ზოგი ხომ აშკარა მოტყუებაში გვდებს ბრალს და პარტიულ პროგრამის შეცვლას გვისაყვედურებს.

ჩვენი მოწინააღმდეგენი სცდებიან. პროგრამა ჩვენ არ შეგვიცვლია. არც კადეტების და ნაციონალ დემოკრატების თვალსაზრისი მიგვიღია, რადგან ესენი მოითხოვენ მიწების სამართლიან ფასებში გამოყიდვას და გლეხებზე გადაცემას, რაც მემამულეთა ჯიბეების გასქელებას ნიშნავს. ჩვენ კი უფასოთ ვართმევთ მუქთა ხორათა წოდებას და გლეხებზე ვყიდით, რომ აღებული ფული ისევ ხალხს მოხმარდეს. ეს განსხვავება არ არის უმნიშვნელო.

ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს გლეხისთვის, რომ მიწას უეჭველათ უფასოთ მივსცემთ: იჯარა ხომ უნდა ეძლიათ სახელმწიფოსთვის, დემაგოგიას თუ თავს დავანებებთ, ჩვენთვის აშკარა იქნება ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლია უფულოთ არსებობა, ხოლო ჩვენს ქვეყანას, რომელიც სულ რაღაც ორი თვეა, რაც საკუთარ ფეხზე დადგა, კიდევ უფრო ესაჭიროება სახ ..., რადგან აურიებელი დაწესებულებებს და მოხელე პირების შენახვა დააკისრა მას. რათ უნდა იყოს დემოკრატიულ თვალსაზრისით მიუღებელი ის, რომ სოფლათ დაგროვილ ქაღალდის ფულის ნაწილი ხაზინაში შევიდეს. შეძლებულ სოფლელს სულაც არ გაუჭირდება ფულის გაღება, ხოლო შეუძლოს და ღარიბს სახელმწიფო აღმოუჩენს დახმარებას სხვადასხვა შეღავათის სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი წინადადების მთავარ ძარღვს სულაც არ შეადგენს გადაცემულ მიწებში სასყიდლის მოთხოვნა, თავი და თავია მიწის კერძო საკუთრებათ გადაცემა; ჩვენ მხარს ვუჭერთ წვრილ კერძო საკუთრებას. გვედავებიან სოციალისტ-რევოლიუციონერები „ტრუდოვოე ზნამიას" ბანაკიდან, გამოგვედავებიან ალბათ სოც.-ფედერალისტები, და ალბათ ზოგი ჩვენი პარტიული ამხანაგიც თქვენი დახმარებით შექმნილი წვრილი საკუთრება თქვენვე შეგიშლის ხელს მომავალში, რადგან სოციალისტურ პროპაგანდა-აგიტაციის დროს საქმე გექნებათ წვრილ მესაკუთრე—სოფლის მუშასთანო, ამბობენ ერთნი. მიწის საკუთრებათ გადაცემა ხელ ფეხს გაუხსნის მესაკუთრეს, რომელიც მიწას გაჰყიდის და გაპროლეტარდება, ამით სოციალიზმის საქმე შეფერხდებაო, უმატებენ მეორენი.

ჩვენ ვეყრდნობით ეკონომიურ განვითარების და ისტორიულ აუცილებლობის კანონს და არა საკუთარ სურვილებს: ასე რომ არ იყოს, ჩვენ დღესვე მოვითხოვდით სოციალიზმს და არ ჩავებღაუჭებოდით რაღაც რვა საათის სამუშაო დღეს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ხელუხლებლათ სტოვებს კაპიტალიზმის დედა-ბოძს. აკი ანარქისტები მომაკვდინებელ ცოდვათ გვითვლიან ჩვენ ასეთს მოთხოვნილებას? წყალს აღმა ვერავინ წაიყვანს და ჩვენც წვრილ წარმოების საფუძველზე მყოფ გლეხს ... ვერ ავაღებინებთ კერძო საკუთრებაზე.

რაც შეეხება ნაციონალიზაციას, ე. ი. ყველა მიწების სახელმწიფო საკუთრებათ გამოცხადებას, ჩვენ ესეც შეუძლებლათ მიგვაჩნია დღევანდელ პირობებში. სახელმწიფოს შეუძლია საძოვრების, ტყეების და მადნების ექსპლუატაცია და ამიტომ აღნიშნულ მიწების ნაციონალიზაცია შესაძლებელიც არის და სასარგებლოც, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნებოდა სახნავ მიწების სახელმწიფოს ხელში გადასვლას, როცა, სულ ერთია, მაინც წვრილი მეურნეობა დარჩება ამ მიწებზე. გლეხობას კი გააბრაზებდა ნაციონალიზაცია და რევოლიუციის წინააღმდეგ აამხედრებდა.

იმიტომ ვუჭერთ ჩვენ მხარს მიწის კერძო საკუთრებას, რომ ამას მოითხოვს რევოლიუციის და ეკონომიურ განვითარების ინტერესები.

## პრესა

გაზეთი „საქართველო" განაგრძობს თავისებურ „იდეიურ" ბრძოლას სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ და ახალ ახალ ამერიკებს აჩენს. პირველათ ის ამტკიცებდა: სოციალდემოკრატიის მთავრობაში შესვლა არ შეიძლება, რადგან სახელმწიფოებრივი პარტია არ არისო. ახლა ვინმე ს. დ—ნი უუშველებელ ფელეტონში „ერობა და პოლიტიკა" ამტკიცებს: ერობაში მუშაობა სოციალდემოკრატიის საქმე არ არისო

მკითხველი გაოცებული რჩება: რათ უნდა მოშორდეს ერობას სოციალდემოკრატია, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს ემსახურება? ნუ თუ ერობის მიზანი ის არ არის, რომ ადგილობრივ ცხოვრების მოწესრიგებით გაუადვილოს არსებობა მშრომელ ხალხს?

ასე არ ფიქრობს ბ. ს. დ—ნი. მკითხველი თვით დასტკბეს „საქართველო"-დან ამოწერილ დებულებათა სიბრძნით:

„ლიბერალიზმის მიზანია დააყაროს ისეთი წესები, რომელნიც გაამრავლებენ მთელი ერის საწარმოვო ძალას, სოციალიზმის მიზანი კი შესდგება არა საწარმოვო ძალის გადიდებაში, არამედ მხოლოდ იმაში, რომ არსებული სიმდიდრე თანასწორად იქმნას გაყოფილი. ლიბერალიზმი ამრავლებს სიმდიდრეს, ჰქმნის ახალ ღირებულებას, სოციალიზმი კმაყოფილდება არსებული სიმდიდრით და მოითხოვს, რომ მუშათა კლასს მეტი წილი ერგოს ამ სიმდიდრეში... სწორეთ ამისთვის სოციალდემოკრატიას ვერ შეუძლია გაუძღვეს მუნიციპალურ საქმეებს".

სოციალიზმი მოითხოვს სიმდიდრის გაყოფვასო—საიდან გაიგო „საქართველომ" ეს ამბავი. ალბათ რომელიმე წიგნში ამოიკითხა პირველყოფილ ქრისტიანების კომუნების ამბავი—ისინი სწორეთ იყოფდენ ერთმანეთში, რასაც იშოვნიდენ. რა აქვს ამასთან საერთო თანამედროვე სოციალიზმს? და ამ ანბანის არ მცოდნე პირი კიდევაც ტრაბახობს:

„ერობის საქმეების მოსაწყობათ ჩვენ გვყავს საუკეთესო ძალები... ჩვენ გვყავს საუკეთესო მცოდნე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისა: აგრონომები, ინჟინერები, ტეხნიკოსები. ჩვენ გვყავს საუკეთესო ფინანსისტები, ბანკირები და კოოპერატორები. ჩვენ გვყავს საუკეთესო მცოდნენი ევროპიულ ბაზრისა. და გარდა ყველა ამისა ჩვენ ეროვნული დემოკრატები არა ვართ შეპყრობილი პარტიული ქინიანობით".

ჩვენ ცოდვილებს კი გვეგონა, რომ საქართველო საზოგადოთ ღარიბია მომზადებულ პირებით, რაც აიხსნება იმით, რომ ჩვენ საკუთარი სახელმ. არ გვქონდა, ხოლო თვითმპყრობელობა კი ხელოვნურათ გვიბორკავდა ხელ-ფეხს. ტრაბახა ეროვნულ დემოკრატები კი ქვეყანას არწმუნებენ: საუკეთესო ფინანსისტები და ბანკირები გვყავსო. სად იყვენ ეროვნული დემოკრატები, რატომ არ გვიჩვენეს ეს საუკეთესო კაცები, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით უცხო სახელმწიფოებისათვის მიგვემართა?

არა გვგონია ნაციონალ-დემოკრატებს თითონ სჯეროდეთ თავისი ნათქვამის სინამდვილე!

* *
*

... გაზეთი „ნაროდნაია სვობოდა"-ში ვინმე ტიგრან ახუმიანი წინასწარმეტყველობს: საქართველოს რესპუბლიკის გადაწყვეტილება გერმანელ მცოდნე პირების მოწვევის შესახებ სასურსათო სამხედრო და საფინანსო სამინისტროებში „დასასრულის დასაწყისს" მოასწავებსო, ე. ი. გერმანია საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაერევა, თუმცა მან განაცხადა არ ჩავერევიო.

ჩვენ რომ ახუმიანების და კადეტ რუს. სოციალისტების აზრს არ ვიყოთ გაცნობილი ამ საკითხში მაშინ ვიფიქრებდით—ბ. ახუმიანს ჩვენი დამოუკიდებლობისათვის შესტკივა გული თქო, მაგრამ ისინი ხომ იმას გვირჩევენ, რომ რუსეთს შეუერთდეთ ვეკითხებით ჩვენს კეთილისმყოფელებს: რა უმჯობესია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის: სამი გერმანელი მრჩეველის მოწვევა, თუ მთელი ქვეყნის რუს-სომეხ მოხელეების ხელში გადაცემა?

## დანაშაული-სასჯელი და სოციალიზმი

### ვინაა დამნაშავე?

(შემდეგი)

„რას ჩადიხართ? ქურდებსა ჰქმნით იმისთვის, რომ მერე ისინი დახოცოთ?"—ასე მიმართავს საზოგადოებას ტომას მორის სოციალური რომანის გმირი კუნძულ „უტოპიიდან" დაბრუნებული.

გესმით! საზოგადოება და მისი მთავრობა სასტიკად სჯის, ჰკლავს ქურდებს, აქ კი თვით საზოგადოებას ესვრიან საშინელ ბრალდებას: შე, ფარისეველო!

თვითონ ქურდი ხარ, თვითონ დამნაშავე ხარ, იმიტომ რომ ჰქმნი ქურდებს და იმის მაგიერ, რომ ბრალი თავის თავზე მიიღო, შენ აწვალებ და ჰკლავ შენგანვე შექმნილ უბედურ შვილებს.

ქურდობის მიზეზი მორის აზრით ის არის, რომ მდიდრებს ჩაუგდიათ ქვეყანა ხელში, ხალხი კი სილატაკეში იღუპება, მშიერი კი მუდამ იქურდებს, რომ შიმშილისაგან სული არ ამოხდეს.

თუ გინდათ, რომ აღარ იყოს ქურდობა და საპყრობილე, აღაგმეთ მდიდრების სიხარბე, ნუ მისცემთ მათ მონოპოლიის და ქვეყნის შეჭმის უფლებას, მოსპეთ მუქთა ხორა და ყველას მიეცით არსებობის საშუალება.

აქ ლაპარაკია მხოლოდ ქურდობაზე, მაგრამ ამისავე თქმა შეიძლება საზოგადოთ დანაშაულობაზე.

მორი არ იყო პირველი და მით უფრო უკანასკნელი იმათ შორის, ვინც ბოროტების ძირი თვით საზოგადოების სტრუქტურაში დაინახა. მორი სცხოვრობდა მე-15—16 საუკუნოებში. ამ დროს შემდეგ მრავალი კაცთმოყვარე მწერალი გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ გაჰქრება პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური ჩაგვრა და მასთან ერთად ის ნიადაგიც, რომელზედაც ასე ლაღათ ხარობს ბოროტება და დანაშაული. გავიდა დრო და ეს აზრი დაასაბუთეს მეცნიერებმა. ასე, სტატისტიკის მამათმთავარი კეტლე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დღევანდელი საზოგადოება თავის წიაღში ატარებს მარცვალს, რომლიდანაც უსათუოდ დანაშაულობა უნდა წარმოიშვას; თვით დამნაშავე კი საზოგადოების ხელში ბრმა იარაღია. ეს ერთი შეხედვით თითქო დიდათ დამაღონებელი მოვლენაა,—ამბობს კეტლე,—მაგრამ თუ კარგათ დავუკვირდებით, მიხვდებით, რომ ის მანუგეშებელიცაა, ვინაიდან გვეუბნება, რომ შესაძლებელია ადამის ჩამომავლობის გაუკეთესება იმ დაწესებულებათა და პირობათა გაუმჯობესებით, რომელთაც ადამიანის ცხოვრებაზე გავლენა აქვთო.

რა საბრალოა კაცობრიობის მდგომარეობა! თითქმის ისეთივე სისწორით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რამდენიმე კაცი მოწამლავს თავის მახლობელს, რამდენი ძმის სისხლში გაისვრის ხელს, როგორც შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენი სული დაიბადება, ან მოკვდება.

დღეს ყველასათვის ნათელია სოციალური პირობების გავლენა დანაშაულობაზე, მაგრამ აქედან შესაფერი ლოღიკური დასკვნის გამოტანა არ უნდათ, ან ვერ ბედავენ.

ის კია, ჭეშმარიტება თუმცა ნელა, მაგრამ შეუჩერებლათ იკვლევს თავის გზას. ყოველგან აკაკუნებს, უხმობს დასახმარებლათ დასაცავათ ყველას, ვინც და რაც კია წმინდა და პატიოსანი. ის მრავალ გულისა და გონების ბატონი ხდება, ის პოულობს მომხრეებს იქაც კი, სადაც მარტო მტრებს უნდა პოულობდეს. მოწინააღმდეგეთა ბანაკში მას იღებს ის, ვინც შესძლო და ამაღლდა თავის კლასის ვიწრო ინტერესებზე. ჭეშმარიტება შედის მეცნიერებაში და იქაც ერთნი სიხარულით ხვდებიან მას, როგორც ჭეშმარიტი მაძიებარნი სიმართლისა, მეორენი უკმაყოფილოდ ადგენენ ოქმს მწარე სიმართლისა.

ასე თუ ისე, მაგრამ ისიც დიდათ მანუგეშებელია მათთვის, ვინც ესწრაფვის ნახოს განახლებული ქვეყანა, რაც უკვე საფუძვლიანათ დამკვიდრდა მეცნიერებაში.

სისხლის სამართლის განვითარებას თავისი ისტორია აქვს. არის ერთი შედარებით ახალი მიმართულება იმაში, რომელსაც სოციოლოგიური სკოლა ეწოდება. ეს მიმართულება აღიარებს, რომ დანაშაულობას საზოგადოებრივი პირობები ქმნიან; მასთან ბრძოლა მხოლოდ სოციალური პოლიტიკის ძირეულიანათ შეცვლით შეიძლებაო. ის მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ შეისწავლოს დანაშაულობის დამოკიდებულება საზოგადოებრივ პირობებთან.

ამ სკოლის ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი (ფ. ლისტი) ასე სწერს:

„შრომის უნარის დაკარგვა მოხუცებულობისა თუ ავათმყოფობის გამო; უმუშევრობა; მცირე ხელფასი და გრძელი სამუშაო დღე, რაც ბორკავს პიროვნების განვითარებას, სპობს ჯანმრთელობას; ბინების მოუწყობილობა, რომელიც ღუპავს არა მარტო ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას, არამედ მის ზნეობრიობასაც; შრომის პირობები, რომელნიც ანგრევს ოჯახს, ამ უმთავრეს საფუძველს დღევანდელ წესწყობილებისა,—აი უმთავრესი ფაქტორები, რომელნიც ცუდათ მოქმედობენ დანაშაულობაზე. აქედან ცხადია, რომ სამართლის თვალთახედვით საუკეთესო ის პოლიტიკაა, რომელიც მშვიდათ და მარჯვეთ მიდის მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ".

კიდევ სხვა მრავალი მწერალი დასახელებული სკოლისა განმარტავენ აღნიშნულ დებულებებს; მათ ესმით, რომ დანაშაულობას იწვევს სიმდიდრისა და სიღარიბის შეურიგებელი წინააღმდეგობა; ქვეყნის სიმდიდრის უმცირესობის ხელში გადასვლა; მრეწველობის არევდარევა, რაც პროლეტარიატს შემთხვევის სათამაშოდ ხდის; ისინი ხედავენ, რომ დამნაშავენი და ბოროტმოქმედნი იზრდებიან ქუჩებში და მყრალ სარდაფებში, „რომელთაც არასოდეს არ ხვდებიათ სუფთა და სალი ჰაერი, სინათლისა და კმაყოფილების შუქი"; მათთვის გასაგებია ის, რომ მუდამ მშიერ-ტიტველნი და გაბოროტებულნი, ლოთები და მატანტალები, ალკოგოლიკები და ნერვებაშლილები აღარ არიან უფალნი თავისი ნებისა და მოქმედების, რომ ისინი არ ზოგავენ იმას, რასაც მათთვის არაფერი აზრი არ აქვს.

ამ მწერლებმა სთქვეს თითქმის სუყველაფერი, რაც სათქმელი იყო; დაამტკიცეს, რაც დასამტკიცებელი იყო; მათ ნათქვამზე და ნაწერზე თვით სოციალისტებიც ხელს მოაწერდენ, რადგან უკანასკნელნიც ამაზე ლაპარაკობენ, ამისთვის იბრძვიან, ამისთვის იხოცებიან ქუჩებში და ბარიკადებზე, მხოლოთ ერთი რამ აკლიათ ამ მწერლებს: ისინი ლაპარაკობენ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და არა სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ განთავისუფლებაზე.

ამბობდენ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ კარგი საქციელი ჯილდოვდებოდეს, ცუდი კი ისჯებოდესო. ამის წინააღმდეგ, რასაკვირველია, არაფერი ითქმებოდა, რომ შეიძლებოდეს ნამდვილი დამნაშავის დასჯა. მაგრამ თუ დანაშაულობის პირველი მიზეზი თვით საზოგადოებაა?

დღევანდელ პირობებში კი ისჯება „გარყვნილი საზოგადოების ბრმა იარაღი".

იჭერთ მშიერ ქურდებს?—უკეთესს იზამდით, რომ ის დაგეჭირათ, ვინც ის უბედური გაძარცვა და მშიერი დააგდო. გინდათ დასაჯოთ მკვლელი,—მაგრამ იცოდეთ—„მკვლელი ის კი არაა, ვინც დაარტყა, არამედ ვინც ბოროტება დათესა (მ. გორკი".)

— გამოდის, რომ საზოგადოებას აღელვებს თვით მისი უსამართლობისა და სიდუხჭირის ნაყოფი. ვის შეუძლია მკვლელების, ქურდების, მოძალადეების დასჯის წინააღმდეგ წავიდეს, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, საიდან გამომდინარეობს ბოროტება, ვინაა ნამდვილი მკვლელი, ნამდვილი ქურდი, ნამდვილი მოძალადე.

ალფა ცისკარიძე.

(დასასრული იქნება)

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

28 ივლისი.

**ბერლინი.** დასავლეთის ფრონტი. სამხედრო მოქმედება ღამით გაძლიერდა სკარპის ორივე ნაპირად, სადაც ინგლისის ქვეით ჯარებს იერიშები მოქონდათ. სუასსონის და რეიმსის შუა. სამხედრო მოქმედება გუშინ შესამჩნევად შესუსტდა. შამპანში პერტის ორივე ნაპირად ფრანგების მიერ მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირად ღამით ტყვიის-მფრქვევლების სროლა იყო. იორდანეს აღმოსავლეთის ნაპ რად მტრის ქვეითა და ცხენოსანი მზვერავებ, გავრეკეთ ივლისის 26 ღამით ჩვენმა აეროპლანებმა ყუმბარები ჩაჰყარეს მტრის ბანაკში. მტრის აეროპლანები თავს დაესხენ ღამით სტამბოლს და ქალაქის ახლოს რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. ზარალი არავითარი არ ყოფილა.

**ტოკიო.** (რეიტერის სააგენტო) სახელმწიფო საბჭოს საგანგებო სხდომამ იმპერატორის თავჯდომარეობით მოიწონა მთავრობის მიერ გამომუშავებული ზომები, რომლებიც ციმბირის მიმართ უნდა გატარდეს. ციმბირის დროებით მთავრობამ მოკავშირეებს ნოტა დაუგზავნა, რომლითაც მოთხოვს მათ შეთანხმებული სამხედრო გამოსვლას ციმბირის. მოკავშირეთა მდგომარეობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მდგომარეობა შეიქნება აღმოსავლეთ ციმბირში.

**ტაშკენტი.** მოსკოვიდან. მოგვეწოდეთ ცნობები ტაშკენტისა და თურქესტანის მხრის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. საჭიროა ასეთ ცნობებს მუდმივათ აწვდიდეთ მოსკოვს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

29 ივლისი.

**ბერლინი.** ბავარიის სამხედრო მინისტრმა პალატაში სამხედრო მდგომა...

რეობის განხილვის დროს სთქვა: „ჩვენი დაუმუშავებელი მასალა გვეყოფა მანამდე, სანამ მოწინააღმდეგენი გვებრძვიან. თუ ზოგიერთი მასალა, მაგალითად ლითონი ილევა, ეს არაფერს ნიშნავს, რადგანაც აღმოჩენილ იქნა უფრო დიდი მადნები ახალ ლითონისა. სამშობლოს დასაცავად ჩვენ მოგვეპოვება ყოველგვარი საშუალება თავდაცვისა. მოწინააღმდეგეთა გეგმები ყველამ უნდა იცოდეს, მაშინ მათი დამარცხების სურვილი უფრო გაძლიერდება და ჩვენი ჯარი მიიყვანს ომს სასახელო ბოლომდე და შეანარჩუნებს გერმანიის საარსებო ინტერესებს“. მოხსენება სამხედრო მდგომარეობის შესახებ მოწონებულ იქნა.

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ჯარი. მტრის იერიშები მონდიდერთან მოგერებულ იქნა. სხვა ადგილებში საარტილერიო მოქმედებაა. შამპანში მოწინააღმდეგე იერიშები შემოიჭრა ფრხტელბერგის სამხრეთით, მაგრამ ჩვენი კონტრ-იერიშით იქნა განდევნილი კარგა მანძილზე უკანვე.

**პარიზი.** სამხედრო ცნობა. მარნის ჩრდილოეთით ფრანგები წინ მიიწევენ მდ. ურკის გასწვრივ. მიუხედავად გერმანელთა სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ ჯარების ჩრდილოეთის ნაპირზე გადაყვანა: ფრანგები შეიჭრნენ შენ ენ ტორდენუაში. რისსის ტყის ჩრდილო აღმოსავლეთით ფრანგები მიუახლოვდნენ შამბ ლუაზის მარჯვენა ფრთაზე ფრანგებმა ხელთ იგდეს ანტენი; ოლიდი-ვიოლენი და მიუახლოვდნენ რეიმს-ტერმანის ხაზს. შამპანში გერმანელთა ორი იერიში მოვიგერიეთ.

**ბერლინი.** თანდათან ირკვევა, რომ გრ. მირბახის მკვლელობას და იმ დროს მოწყობილ აჯანყებებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ერთი მიზანი ჰქონდა — გერმანიასთან ომის განახლება. მირბახის მკვლელობა მოხდა 6 ივლისს შუადღისას, სწორეთ იმავე წუთებში მოხდა აჯანყება ქ. იაროსლავში, სერბიის მაიორის და ორი შეთანხმების სახელმწიფოთა აფიცრების იქ ჩასვლის შემდეგ. ვოლოგდიდან იმ დროსვე იაროსლავში მივიდა 106 კაცი, ეგრედ წოდებული „ჩრდილოელი მოხალისენი“. ამათ შეთანხმების სახელმწიფოთა აგენტმა შეატყობინა, რომ სხვა ჯარი და ტრანსპორტიც მალე ჩავა და საჭიროა მოქმედების დაწყება. იმ დროსვე თეთრმა გვარდიამ გამოაცხადა, რომ მათ განაახლეს ომი გერმანელებთან და დაატყვევა გერმანელთა მზრუნავი კომისია 2000 ტყვე-გერმანელით. მაგრამ როცა დახმარება არსაიდან იყო და დარწმუნდა რომ, საქმეს ვერ მოიგებდა, ამ გვარდიამ იარაღი ჩააბარა გერმანიის ჯარის უფროსს ბალკს და ტყვედ ჩაუვარდა მას, რომელმაც თეთრი გვარდია გადასცა საბჭოთა მთავრობას. ციმბირში მომადარი ამბებიც ამას ამოწმებენ. იქ საბჭოთა ჯარებს ხელმძღვანელობდა მურავიოვი, ცნობილი ავანტიურისტი და ანკარების მოყვარული კაცი, იგი მოისყიდეს შეთანხმების სახელმწიფოთა აგენტებმა და მურავიოვიც მომხრე გახდა არა მარტო ჩეხოსლოვაკებთან შეერთებისა, არამედ—გერმანიასთან ომის დაწყებისაც. ყველა ეს ამბები ამტკიცებენ, რომ აქ მუშაობს გამოცდილი ხელი.

## უკანასკნელი ცნობები

### ტუაპსე

ივლისის 27-ის თარიღით გენ. მაზნიაშვილისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ივლისის 26-ს 12 საათის სასტიკ ბრძოლის შემდეგ ჩემდამი რწმუნებულმა ჯარმა დაიკავა ტუაპსე. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა. ყოველი სიმაღლის აღება გვიხდებოდა ბრძოლით. მრავლათ წამოვიყვანეთ ტყვეები, წამოვიღეთ 4 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი, აფარეზელი ყუმბარები, ტყვიები, სამხედრო მასალა, სხვა და სხვა სიდიდის გემები, ავტომობილები, 5 ორთქლმავალი, რკინის გზის ვაგონები, საინდენდანტოს სხვა და სხვა გვარი ქონება. ნადავლის რაოდენობა ირკვევა. ჩვენი არტილერიის მოხდენილი მოქმედებით ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ჩვენის მხრით დაჭრილია 10, მოკლული 1. დაჭრილთა შორის არიან მე-3 ქართული პოლკის შტაბს-კაპიტანი დოლაბერიძე და სახალხო გვარდიელი პორუჩიკი ნოვიკოვი. მტერი, რიცხვით 1,200 კაცამდე სამი ჯავშნიანი მატარებლით და ავტომობილებით გაიქცა არმავირის მიმართულებით. მოგახსენებ რა ზემო აღნიშნულს, ვშუამდგომლობ ებრძოს პოლკოვნიკ ამირეჯიბს გენერლობა, მე 6 ბატარეის უფროსს კაპიტან იაშვილს პოდპოლკოვნიკობა და 1 ბატარეის უფროსს შტაბს-კაპიტან ქუთათელაძეს—კაპიტნობა. ივლისის 28-ს სამხედრო მინისტრმა დეპეშით დააკმაყოფილა გენ. მაზნიაშვილის შუამდგომლობა და დაავალა მას მადლობა გადასცეს მებრძოლთ რესპუბლიკის სამსახურისა და სიმამაცისათვის.

### კავკასი.

1 აგვისტოს გაიხსნება თერგის და საქართველოს მთავრობათა წარმომადგენლების მოლაპარაკება იმ ულტიმატუმის ცხოვრებაში გასატარებლათ, რომელიც საქართველოს მთავრობამ წარუდგინა თერგის მთავრობას (უკანასკნელმა ის დააკმაყოფილა). მოსაწესრიგებელია აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზაზე თავისუფალი მიმოსვლა ორივე მხრისათვის და სურსათ სანოვაგის გადაზიდვა.

### ყაზბეგი.

ყაზბეგიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა გადმოგვცეს, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე მიმოსვლა თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. მცხოვრებთა სულიერი განწყობილება ჩვენი სასარგებლოა. იმ ადგილების მოხელენიც კი, რომლებიც ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, დღეს, როცა ჩვენმა პროპაგანდისტებმა აუხსნეს მათ საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ისინი ჩვენ გვიჭერენ მხარს.

### ბაქოს მდგომარეობა

უკანასკნელ ხანებში ბაქოში შეთქმულობა მოუხდენიათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობა უშედეგოთ დამთავრებულა. ამის შესახებ საბჭოს ორგანო „ბაკ. რაბ.“ შემდეგს მოგვითხრობს: „შეთქმულობას მიზნად ჰქონებია ეხლანდელი მთავრობის თავმჯდომარის შაუმიანის ჩამოგდება, დათხოვნა საბჭოსი და ძალა უფლების სულ სხვა პირთა ხელში გადასვლა, რომელი პირნიც ეხლა ცენტრალურ ციხეში სხედან. საქმე თურმე სულ უბრალოდ ეწყობოდა:

დარიგებულ იქნა კასპიის ფლოტილიის სახელით ბარათები, საცა იწვევდენ მუშებს და წითელ არმიელებს დიდ მიტინგზე ბულვარზე, რომ გაერჩიათ მიმდინარე მომენტი და სხვა. ხელს აწერდა თავმჯდომარე ანიკინი და მდივანი იგნატოვი. შეთქმულობის მომწყობთ დაემზადებინათ რეზოლიუციები, რომლებსაც თურმე მიიღებდა ეს კრება და რომლის ძალით მოხდებოდა გადატრიალება ბაქოში. მაგრამ ყველაფერი ეს ყალბი გამოდგა და უშნოდ ჩატარდა. მუშებმა და წითელ-არმიელებმა ამის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდენ და უხალისოდ გზავნიდენ დელეგატებს, მაგრამ მაინც გაგზანეს 40 მდე კაცი. თვით კასპიის ფლოტილიის სადგომში ამ კრების შესახებ არავინ არაფერი იცოდა, გარდა მექანიკ კირიჩენკოსი. მისულები გაკვირვებით უყურებდენ ერთმანეთს. გამოირკვა, რომ არავითარი ანიკინი და იგნატიევი არ არსებულან მალე დაატყვევეს ეს კირიჩენკო და ერთი კაცი, რომელიც გემზე იყო და მოითხოვდა ამ გემის ნაპირთან მისვლას. ამის გვარი ივანოვი ყოფილა და მის ქაღალდებში აღმოჩნდა, რომ ის ყოფილა „სამხედრო საქმეთა მინისტრი“. მან მალე სხვა „მინისტრებიც“ გასცა. იმ დროს ბაქოდან გაიპარა ერთი კაცი, რომელსაც წინად დიდი ადგილი ეკავა, გვარად ჯუნკოვსკი. ამათ უნდათ მოეხდინათ თურმე შეთქმულობა. ეს საქმე ინგლისის აგენტებმა მოაწყვეს, მაგრამ კარგად ვერ ჩაატარეს“.

მოსული ცნობებით შაუმიანმა მიმართა მოსკოვს, რომ საჭიროა ზომების მიღება ბაქოს დასაცავად და ძალა მოგვაშველეთო. ცენტრალურმა მთავრობამ უპასუხა, რომ დახმარება იქნება, მაგრამ ამას აყოვნებს ცარიცინის, ასტრახანის, საჩეჩნეთის და ჩრდილოეთ კავკასიის გამოურკვეველი მდგომარეობა. მოსკოვის მთავრობამ აგრეთვე შეატყობინა შაუმიანს, რომ ჩიჩერინმა ბერლინში იოფფეს უკვე გაუგზავნა დეპეშა, საცა სთხოვს მას, რომ მან მიიღოს ყოველი ზომები იმის მისაღწევად, რომ გერმანეთმა აიძულოს ოსმალეთი შეჩერებულ იქნას შეტევა ბაქოზეო. ამ დეპეშაში სხვათა შორის ისიცაა ნათქვამი, რომ რუსეთის მთავრობა, რომელ პარტიისაც არ უნდა იყვეს ის, თავის დღეში არ შეურიგდება ის აზრს, რომ ბაქო, რომელიც მთელ რუსეთის მრეწველობას აცოცხლებს, სხვის ხელში გადავიდეს ეს კიდევ უფრო გაართულებდა საერთაშორისო მდგომარეობას და ინგლისის გავლენას რუსეთში გააძლიერებდაო მოსკოვის მთავრობა ურჩევს შაუმიანს გამართოს მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასთან და გერმანიის დელეგაციასთან კავკასიაში, რომ ბაქოს კითხვა რუსეთის სასარგებლოდ გადაიჭრას. თფილისში მიღებული უკანასკნელი ცნობებით ბაქო გარშემორტყმულია ოსმალთა ჯარების მიერ სამი მხრიდან.

## საქართველოს მთავრობის ულტიმატუმი

თერგის ოლქის სახალხო კომისართა გაზეთ „ნაროდნაია ვლასტის“ 26 ივლისის ნომერში მოთავსებულია შემდეგი ანგარიში:

ივლისის 24 ს ბოგდანოვის თავმჯდომარეობით შესდგა თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა. გასარჩევი იყო საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ულტიმატუმი თერგის რესპუბლიკისადმი.

**პაშკოვსკი.** 21 ივლისს ნაშუადღევის 3 საათზე სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ულტიმატუმი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან. ქაღალდი დაწერილი იყო მელნით, კარანდაშით შესწორებული, ბეჭედ დაუსმელი. გაარჩია ეს საბჭომ, მაგრამ ვერ გამოიტანა განაჩენი და ქაღალდი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას შემდეგ წერილთან ერთად: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ან მის რწმუნებულთ. თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ქაღალდი, თითქოს საქართველოს მთავრობის მიერ გამოგზავნილი, რომელიც დაწერილი არ არის მთავრობის ბლანკზე, კარანდაშით შესწორებები აქვს ვღებთ რა მხედველობაში, რომ ეს საგნი საყურადღებოა მეზობელ ერთა და ოლქთა კეთილ-მეზობლური განწყობილების საქმეში და ვეგებებით რა სიხარულით ამ ნიადაგზე ჩვენი მეზობლების მიერ გადადგმულ ნაბიჯს, საბჭო არ არის მაინც დარწმუნებული, რომ ეს ქაღალდი საქართველოს მთავრობის ოფიციალური აქტია ან ამ მთავრობის კანონიერ რწმუნებულთა მომართვა. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ თერგის ოლქი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ნაწილია და ანგარიში უნდა ჩააბაროს თავის მოქმედებაში ცენტრალურ მთავრობას, საბჭოს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია ოფიციალური დოკუმენტები იქნას წარმოდგენილი, რომ საბჭოს თავის გასამართლებელი საბუთები ჰქონდეს. საბჭო გთხოვთ დაადასტუროთ—მართლა საქართველოს მთავრობის გამოგზავნილია ეს ქაღალდი თუ არა. გწამდეთ, რომ თერგის ოლქის მცხოვრებნი და აგრეთვე მისი წარმომადგენლები ცხოვრების მოწყობის საქმეში ხელმძღვანელობენ მუდამ მშვიდობიანი დამოკიდებულების განმტკიცებით როგორც შიგნით, ისე გარეთ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბოგდანოვი; ნაციონალურ საბჭოთა სახალხო კომისარი არხიევი, მდივანი პომერანცევი. გუშინ, ივლისის 23, შუ დღის 12 საათზე მივიღეთ საქართველოს მთავრობისაგან საპასუხო ქაღალდი ბეჭედ დასმული და საქართველოს მინისტრების მიერ ხელმოწერილი, რომელიც შემდეგს შეიცავს: თერგის ოლქის მთავრობას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია აუწყოს თერგის ოლქის მთავრობას, რომ დუშეთის მაზრაში მომხდარი ამბების ლიკვიდაციასთან ერთად ის დროს შესაფერისად სცნობს შექმნას ისეთი პირობები, ურომლისოდ კეთილ მეზობლური და მეგობრული დამოკიდებულება არ იქნებოდა განმტკიცებული მოსაზღვრე ქვეყნებს შორის. არასასურველად და საქართველოს მთავრობის მისწრაფებათა საწინააღმდეგოთ მიგვაჩნია რა თერგის ოლქის ტერიტორიის დაკავება საქართველოს ჯარების მიერ, ამ ვე დროს საქართველოს მთავრობა, მიუხედავათ ამისა, ფიქრობს, რომ თერგის მთავრობის მხრით უნდა უზრუნველყოფილ იქნას მეგობრული განწყობილება, რისთვისაც უნდა მოცემული იქნას შესაფერი გარანტია. ძირითად კითხვაა,—მომავალში ურთიერთ დამოკიდებულების საქმეში უნდა უზრუნველყოფილ იქნას თერგის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ხელუხლებლობა. ამ საქმეში თერგის ოლქის მთავრობამ გარანტია უნდა მისცეს საქართველოს იმისი, რომ საქართველოს საზღვრების მიმართულებით არ იქნება გამოშვებული არც მთავრობის, არც მისი ორგანოთა ჯარები, არც არავითარი შეიარაღებული ჯგუფები ვისი ხელმძღვანელობითაც არ უნდა იყოს გამოგზავნილი ეს ჯგუფები, რომლებიც აგრესიული მიზნით იქნებიან საქართველოს სამხედრო გზაზე წამოსულნი. აგრეთვე მიღებული იქნება თერგის მთავრობის განკარგულებით ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ გვარი ჯგუფების შედგენას თუ მის ხელმძღვანელობას ემსახურებიან თერგის ოლქში და იქ იმალებიან.

მიგვაჩნია რა საქართველოს ტერიტორიის ხელუხლებლობის საკითხი ჩრდილოეთიდან, კავკავიდან, პირველ ხარის ხოვან საკითხათ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მოელის თერგის ოლქის მთავრობისაგან ორი დღის ვადაში დღევანდელი რიცხვიდან, იმის უწყებას, თუ რა ზომები იქნება მის მიერ მიღებული ამ მხრით. დუშეთის მაზრაში მომხდარი ამბების გამო მთავრობის ჯარებსა და შეიარაღებულ ჯგუფებს შორის შეტაკების დროს, რომელი ჯგუფებიც თერგის ოლქიდან გადმოვიდენ საქართველოში, საქართველოს მთავრობა აუწყებს თერგის მთავრობას, რომ აღნიშნულმა ჯგუფებმა დააპატიმრეს და წაიყვანეს კავკავში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი—მთავრობის ჯარში მოსამსახურე პირები და ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც ამ ჟამად უპასუხისმგებლო პირების მიერ დაპატიმრებულნი არიან.

საქართველოს მთავრობა პირველ აქტად, რომელიც დაამტკიცებს თერგის ოლქის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკასთან მეგობრულ განწყობილებას, სთვლის დაუყონებლივ განთავისუფლებას იმ დატყვევებულ ქართველთა, რომელნიც იმყოფებიან კავკავში, და რომლებიც არავის არ შეუძლია სამხედრო ტყვეებათ აღიაროს, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკა და თერგის ოლქი არ ყოფილან საომარ მდგომარეობაში საქართველოს მთავრობა პირველ რიგში მოითხოვს დატყვევებულთა განთავისუფლებას 24 ს. განმავლობაში. ამავე ჯგუფებმა გაიტაცეს აფარეზელი ქონება, როგორც საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე მისი მოქალაქეების. საქართველოს მთავრობა დაბეჯითებითი წინადადებას აძლევს თერგის მთავრობას მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა ჩამორთმეულ იქნას განატაცი ქონება. ამ პირობათა აუსრულებლობა, რასაც ის აუცილებლობა გვიკარნახებს, რომ შექმნილ იქნას მომავალში მეგობრული დამოკიდებულება, იძულებულს ჰყოფს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა უზრუნველჰყოს, როგორც საზღვრები, ისე მოქალაქეთა სიცოცხლე და ქონება ყოველგვარი აქედან გამომდინარე ზომების და მისი შედეგის თანახმად რის პასუხისმგებლობა სავსებით დაეკისრება თერგის მთავრობას. ნორმალური სავაჭრო დამოკიდებულების დასამყარებლათ საქართველოსა და თერგის ოლქს შორის, რაიც ორივე მხრისთვის არის საჭირო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თერგის ოლქის მთავრობის სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს, რათა მიღებულ იქნას აუცილებლათ საჭირო ზომები საქართველოს სამხედრო გზაზე წესიერი მიმოსვლის აღსადგენათ, საქართველოს და თერგს შორის 7 ივლისს დადებულ ხელშეკრულობის ასრულებას საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმეში, ვინაიდან ამ ნიადაგზე საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს შაქრის, მედიკამენტების, მაუდის და სხვ. გაგზავნას საქართველოს მიერ თერგის ოლქის მთავრობა არ შეხვდა შესაფერისად. პრაქტიკული ზომების გამომუშავება ამ საგანზე შესაძლებელი იქნება ორივე მხარის წარმომადგენელთა პირისპირ შეხვედრის დროს. გაუწყებთ რა ზემო აღნიშნულს, საქართველოს მთავრობა გთხოვთ სასწრაფოთ აცნობოთ მას, თუ რა აზრისაა თერგის მთავრობა ყველა აღძრულ საკითხების შესახებ. ამასთანავე, საქართველოს მთავრობას საჭიროთ მიაჩნია აღნიშნოს, ამ ქაღალდში აღნიშნული საკითხების გადაჭრის დაყოვნება თერგის მთავრობის მხრით იძულებულს ჰყოფს საქართველოს მთავრობას გადასჭრას ეს საკითხები საკუთარის ძალებით. 20 ივლისი, 1918 წ. ნაშუადღევის 2 ს. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულნი, გზათა მიმოსვლის და სასურსათო საქმეთა მინისტრი ლორთქიფანიძე; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გერ. მახარაძე; სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი ვლ. ჯუღელი“.

პაშკოვსკი განაგრძობს: სახალხო კომისართა საბჭო ფიქრობს, რომ აგეთი დიადი საკითხი, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, უნდა გაირჩეს სახალხო საბჭოში, რომელსაც უფლება აქვს შეკრას ზავი, გამოაცხადოს ომი მოაწესრიგოს ურთიერთშორის დამოკიდებულება. შეიძლება აქ კითხვები დაისვას, საბჭო იძლევა განმარტებებს: აღვნიშნავ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ნოტაში ლაპარაკია ტყვეებზე,—ეს არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს უფლება ეძლევა გავიდეს თერგის ოლქიდან, მსურველთ დახმარებას აღმოვუჩენთ. რაც შეეხება ნოტაში მოხსენებულ იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია ყაზბეგში მომხდარი ძარცვის შესახებ, ამ საქმეზე სწარმოებს გამოძიება.

**არსანოვი** აღნიშნავს, რომ პაშკოვსკის განცხადება სიმართლეს არ შეიცავს. ამის დასამტკიცებლათ არსანოვი ამბობს, რომ მე ჩემის თვალით ვნახე ტყვეებიო.

**პაშკოვსკი.** აჯანყებულ გლეხთა საქართველოს მთავრობის ჯარებთან შეტაკების დროს ყაზბეგიდან გამოიქცა 38 ჯარის კაცი; ქართველი ჯარისკაცების ნაწილი კი აჯანყებულებმა წაიყვანეს. ეს „ტყვეები“ მოთავსებული იყვნენ სუვოროვის სასწავლებელში; როცა ეს კომისართა საბჭომ გაიგო, მან განკარგულება გასცა ამ პირების გასანთავისუფლებლათ. თუ კი სადმე ასეთი ტყვეები მოიპოვება, განთავისუფლებულ იქნებიან.

**არსანოვი.** მე არ მაკმაყოფილებს ამხ. პაშკოვსკის განმარტება. საქართველოს მთავრობის ულტიმატუმს ანგარიში ყოველ შემთხვევაში უნდა გავუწიოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს მთავრობას აქვს დიდი რეალური ძალა და ამ მთავრობას უფლებებს პატივი უნდა ვცეთ.

**ზავიაგინი** (ყაზახი). ეკითხება პაშკოვსკის: არის თუ არა სადმე ტყვეებათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი?

**პაშკოვსკი.** სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანება საქართველოს მოქალაქეთა განთავისუფლების შესახებ მოყვანილია სისრულეში,—სუვოროვის სასწავლებლიდან გაუშვეს ყველა ტყვეები. და თუ სადმე აკავებდენ, სახალხო კომისართა საბჭოს ნებადაურთველად. მათი განსათავისუფლებლადაც მიღებული იქნება ზომები. ასე რომ, თერგის ოლქში საქართველოს მოქალაქენი ტყვეთ არ იმყოფებიან და თუ ფრონტზე არიან, არ ვიცი.

**ზვიაგინი.** მართალია თუ არა ყაზბეგში საქართველოს რესპუბლიკის ქონება დაუტაცნიათ (დაუტაცნიათ აგრეთვე კერძო პირთა ქონებაც) და თუ მართალია,— მე მაინტერესებს გავიგო, ვინ და რამდენი წაიღო.

**პაშკოვსკი.** სამი კვირის წინათ მოვიდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი და გვაცნობა, რომ ყაზბეგში მოიტაცეს საქონელი—მაუდი, მაგრამ ვინ და რამდენი წაიღო არ უჩვენებია. ჩვენ კი გვაქვს ცნობები, რომ ის მაუდი დაიტაცა აჯანყებულთა რაზმმა, რომელმაც გადალახა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები. ჩვენის მხრით იქნება ზომები მიღებული, რომ თავისი ქონება დაუბრუნდეს საქართველოს მთავრობას.

**არსანოვი.** მე საჭიროდ ვთვლი საქართველოს მთავრობის ულტიმატუმი დაკმაყოფილებულ იქნას.

**ორჯონიკიძე.** მე მაკვირვებს ის გარემოება, რომ აქ სხვისი უფლებების პატივისცემაზე ბევრს ლაპარაკობენ და თავისი უფლებები ავიწყდებათ. მართლა რომ დავუკვირდეთ ქართველების ულტიმატუმს, იქ ლაპარაკია, რომ ყაზბეგში დაუტაცნიათ საქონლები, რომლებიც ეკუთვნოდა საქართველოს რესპუბლიკას და ეს საქონლები უნდა დაბრუნებულ იქნას კუთვნილებისამებრო. ნუ თუ თერგის ოლქის მთავრობა უნდა შეიქნეს საქართველოს რესპუბლიკის პოლიციურ დაწესებულებად? ჩვენს მთავრობას ხომ არ შეუძლია იცოდეს, თუ რა ხდება 50—60 ვერსზე მისი საზღვრების იქით. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკა არავის არ უცვნია—არ უცვნია არც იმპერიალისტურ გერმანიას, არც ცენტრალურ საბჭოს მთავრობას, არ უცვნია არც თავის ხალხს, გლეხობას. საქართველოს მთავრობამ, რომელიც დაჰპირდა ხალხს მიწა და თავისუფლება, ახლა ტყვიისმფრქვეველებით დაუწყო ლაპარაკი მას. ასეთ სახელმწიფოსთან ჩვენ არ შეგვიძლია დავაწესოთ რაიმე საერთაშორისო დამოკიდებულება. რადგანაც საქართველოს მთავრობა მოითხოვს ტყვეების განთავისუფლებას, მაშინ მან წარმოადგინოს სია იმ პირთა, რომლებიც გადვიდენ საქართველოს საზღვრებიდან და თერგის ოლქში გამოჩნდენ და „ტყვეებს“ დახმარებას აღმოვუჩენთ გასვლის დროს. მოლაპარაკება არას გზით არ უნდა სწარმოებდეს საერთაშორისო მასშტაბით, არამედ—ამ მოლაპარაკებას თერგის ოლქის და თფილისის გუბერნიის ურთიერთ შორის დამოკიდებულების დამყარების ხასიათი უნდა ჰქონდეს. აქ ამბობენ, რომ საქართველოს რესპუბლიკას დიდი რეალური ძალა აქვსო, შეიძლება თუ არა ამას დავუჯეროთ, როცა შიგნით არეულობაა და მთავრობას აჯანყებულების დასაწყნარებლად დიდი ძალა სჭირია? და თქვენ, თერგის რესპუბლიკის წარმომადგენლებს უნდა გეშინოდეთ მარტო საქართველოსი? უნდა განვუცხადოთ საქართველოს წარმომადგენლებს:

„ჩვენ მუქარის და ულტიმატუმს არ ვღებულობთ“.

რაც შეეხება სავაჭრო ხელშეკრულებას, თერგის ოლქის და საქართველოს შორის დადებულს, თქვენ ამ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოთ ცენტრალურ მთავრობას, რომელმაც გამოსცა ბრძანება პურის მონოპოლიის შესახებ. ამ დეკრეტის ძალით არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას აქედან გაზიდული. დასასრულ ორჯონიკიძე წინადადებას იძლევა პური არ იქნას გაზიდული საქართველოში, ამასთან უნდა განუცხადოთ საქართველოს მთავრობას, რომ თერგის ოლქის რესპუბლიკას არ შეუძლია საქართველოს თავზე ხელი უსვას და მისი ლაქია იყოს.

**ზავიაგინი.** სიჩქარეს აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, სწორედ ამ სიჩქარემ მისცა ორჯონიკიძეს საბაბი, რომ ჩემთვის დაებრალებია საქართველოს ორიენტაციაზე ლაპარაკი. როცა აქ საქართველოს მთავრობასთან ხელშეკრულებას ვუდებდით, მაშინ პირველი მოწინააღმდეგე ასეთის დადებისა მე ვიყავი, ხოლო ეხლა, როცა ასეთი ხელშეკრულება უკვე დაიდვა და ამის შესახებ ორივე მხრით სწარმოებდა ოფიციალური მიწერ-მოწერა, მე მაკვირვებს, როგორ შეიძლება არ ვიცნოთ საქართველოს მთავრობა, ეხლა კი ჩვენ მათ მოთხოვნილებას არ შევხედოთ ოფიციალური თვალთახედვის ისრით, არამედ—ყურადღება უნდა მივაქციოთ საქმის არსებით მხარეს წარმოვიდგინოთ, რომ ულტიმატუმი თუ არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ დაიწყება ახალი ომი, რომლის შედეგები ჩვენ კარგათ ვიცით და თუ დაიწყო ომი, გვპირდება თუ არა ამხ. ორჯონიკიძე, რომ ჩვენ დახმარებას მივიღებთ ცენტრიდან.

საქართველოს [illegible] ლება შეიძლება უმნიშვნელო და [illegible] ქიური იყოს, [illegible] საქართველოს მთავრობა, მაგრამ ის თავის თავს იცნობს.

**ორჯონიკიძე.** როცა მე სიტყვას ვამბობდი არ მქონდა მხედველობაში ვინმესთვის რომელიმე ორიენტაციაში ბრალი დამედო.

შინაგან საქმეთა კომისარი ფიგატნერი აცხადებს, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ. როცა საქართველოს მთავრობა წარმოადგენს სიას იმ საქონელთა, რომელიც ყაზბეგში დაიტაცეს და თუ ეს საქონლები იქნება ჩვენს ტერიტორიაზე, მაშინ ჩვენ ამას დავუბრუნებთ მათ, ვისაც წაართვეს.

**გრიგორიევი** (ყაზახი). ამხ. ორჯონიკიძე ამბობდა უფლებების დაცვაზე, როცა ჩვენ ამას ვაკეთებთ, მაშინ ჩვენ კონტრ-რევოლიუციონერები ვართ. ჩვენში, თერგის ოლქში, ყველაზე უფრო ბღალავენ სხვის უფლებებს. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ თერგის ოლქი არის თავშესაფერი ადგილი ყველა გამოქცეულ კონტრ-რევოლიუციონერებისა (ხმები: „მართალია, სწორია“)—უკაცრავად, თავშესაფარია ყველა რევოლიუციონერებისათვის. სანამ ჩვენ დავუბრუნებდეთ ქართველებს ტყვეებს, საჭიროა ინგუშებმა დაგვიბრუნონ ტყვე ყაზახები.

**ბუტაევი** ამბობს, რომ ჩვენ ვართ რევოლიუციონური მთავრობა, რომლის წინააღმდეგ მოდის კონტრ-რევოლიუცია. ჩვენ ვართ ნაწილი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის და ამიტომ ჩვენი ვალია ვუთხრათ საქართველოს არავისგან არ ცნობილ და მხოლოდ გერმანიის ხიშტებზე დამყარებულ მთავრობას, რომ ჩვენ ამ ულტიმატუმის განხილვაში არ შევდივართ და ვუგზავნით ცენტრალურ საბჭოს სახალხო კომისარებისას. და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საკითხს, მაშინ ჩვენ უნდა უარვყოთ ეს ულტიმატუმი, როგორც უარვყავით ყაზახების ულტიმატუმი. ამ მოძრაობას ჩემის აზრით კავშირი აქვს მოზდოკის კონტრ-რევოლიუციასთან. მეორეს მხრით, როგორ შეგვიძლია ჩვენ გავსცეთ ღირსეული პასუხი, როდესაც ჩვენს სიტყვასთან არ არის თავისუფალი ძალები. მე ამ საკითხს სერიოზულ ხასიათს ვაძლევ, მაგრამ კაპიტულაციის მიღება იმ ელემენტების და ჯგუფებისათვის, რომლებიც სცნობენ ამ მთავრობას, არ არის საკადრისი. ჩვენ უნდა მოვძებნოთ საფუძველი და ძალა, რაზედაც უნდა დავეყრდნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა შერყეული და მოუთმენელი იქნება. მე მოვითხოვ ვაცნობოთ საქართველოს მთავრობას, რომ თავისი ულტიმატუმით მიმართოს ცენტრალურ სახალხო კომისარების საბჭოს.

(დასასრული იქნება).

## ახალი ამბები

მთავრობამ 27 ივლისის სხდომაზე დაადგინა: 1) გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, გარდა ბორჩალოს მაზრისა პურის, სიმინდის და სხვა ყოველნაირი ხორბლეულობის თავისუფალი ვაჭრობა და გადატან-გადმოტანა. 2) ხორბლეულობის შემოტანა საქართველოში საზღვარ გარეთიდან განთავისუფლებულ იქნას საბაჟო გადასახადისაგან, ხოლო საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა დარჩეს თავის ძალაში; 3) ყველა სასურსათო კომიტეტი, როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო, საქალაქო, სარაიონო თუ სასოფლო დღეიდან გამოცხადებულია სავსებით გაუქმებულათ და მათ ერთმევათ ამიერიდან უფლება რაიმე განკარგულება მოახდინონ; 4) სასურსათო სამინისტროს წინადადება მიეცეს მოახდინოს სრული ლიკვიდაცია: სასურსათო საგუბერნიო კომიტეტებისა დღეიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი კომიტეტებისა—დღეიდან ერთი კვირის განმავლობაში; 5) დაევალოს შინაგან საქმეთა და სასურსათო სამინისტროებს აწარმოვონ ენერგიული ბრძოლა პურის, სიმინდის და ხორბლეულობის გადამალვისა და საზოგადოთ სპეკულიაციის წინა ღმოეგ, მოახდინოს გადამალული ხორბლეულობის კონფისკაცია, მისი პატრონნი კი მიეცეს სისხლის სამართალში; 6) წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა, გზათა და სასურსათო სამინისტროებს, საჩქაროდ განკარგულება მოახდინონ, რომ ეს დადგენილება ყოველგან რესპუბლიკის საზღვრებში დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანილ იქნას; 7) სასურსათო სამინისტროს ევალება წარმოადგინოს მთავრობის შემდეგ კრებისათვის თავის პროექტი ვაჭრობის შესახებ სხვა სანოვაგეზედაც, გარდა ხორბლეულობისა.

— გერმანეთ-საქართველოს სავაჭრო პალატის დამფუძნებელ კრებაზე არჩეულ იქნენ: კ. 6. აფხაზი, ე. ი. ვაკანო, რ. კ. დათეშიძე, ა. გ. ჯაბადარი, გ. გ. ევან-

გულოვი, ნ. პ. იოსელიანი, რ. კ. კაიზერი, მ. ფალავა, ა. ა. ქავთარაძე, ი. მ. ლორთქიფანიძე, ს. გ. მაზმანოვი, ტერზახაროვი, ნ. წერეთლავა, ა. ხოშტარია, გ. შადინოვი, შტრინგი. საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ ა. ხოშტარია, თავმჯდ. ამხანაგად: კ. ნ. აფხაზი, ევანგულოვი, სუმბათაშვილი და სეილანოვი. საბჭოს საქმის გამგეთ არჩეულ იქნა ა. დ. ქორქია. ამ დღეებში გერმანიაში მიემგზავრება მ. ა. სუმბათაშვილი. მას საბჭოს მიერ დავალებული აქვს გააცნოს გერმანიის სავაჭრო სამრეწველო წრეებს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, რომ იქაც დაარსებულ იქნას სავაჭრო პალატა ორივე სახელმწიფოს ეკონომიურად დასაახლოვებლად.

✦ „შაქარი“. ქართველთა ერთმა ჯგუფმა დაარსა ამხანაგობა „შაქარი“ 5 მილიონ მანეთის ძირითადი თანხით. ამხანაგობას აზრად აქვს საქართველოში შაქრის წარმოება მოაწყოს. ამ მოკლე ხანში ამხანაგობა გზავნის წარმომადგენელს უკრაინაში ქარხნის მოწყობილების შესაძენათ.

✦ ქართველი გამომცემელთა ამხანაგობა ამ მოკლე ხანში გადაკეთდება სააქციო საზოგადოებად 500,000 მან. ძირითადი თანხით. საზოგადოებას აზრად აქვს გამოსცეს ყოველგვარი წიგნები, ჟურნალ გაზეთები, დაარსოს სტამბა, გახსნას ქაღალდის ქარხანა და სხვა.

✦ გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა: ჯარისკაცი ლუარსაბ გამცემლიძე უფროსის შეურაცხყოფისათვის; პოდპ. ვახტანგ დეკანოზიშვილი; ჯარისკაცი ივ. ბებურიშვილი—ხორცის მოპარვისათვის და შტაბს-კაპ. ნ. ნოვიკოვი წესიერების დარღვევისათვის.

✦ სიღნაღის მაზრის თავდაცვის კომიტეტის, ადმინისტრაციის და კოოპერატივთა წარმომადგენლების კრებამ ქ. სიღნაღში, 15 ამა ივლისს მოისმინა რა მოხსენება ახალ მთავრობის შედგენისა, უცხადებს ახალ მთავრობას სრულ თავის ნდობას და სიტყვასა სდებს, რომ ყოველ მის მოქმედებას მხარს დაუჭერს, თავს არ დაზოგავს და უკანასკნელ ღონეს და ენერგიას იხმარს ნორჩ რესპუბლიკის დასაცავად მის დაუძინებელ მტერთა წინაალმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ქართველმა მშრომელმა ხალხმა უკანასკნელი ნაბიჯი გადადგა თავისუფლების შესანარჩუნებლათ და ეს მოვლენა აათკეცებს ჩვენს ენერგიას ბრძოლაში. სალამი ჩვენს ეროვნულ ბელადს, თავისუფლების ძვირფასს მებრძოლს ნოე ჟორდანიას!

✦ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გადასდოს 200 ათასი მანეთი სათადარიგო ჯარისკაცების ოჯახთა დასახმარებლათ, ვინაიდან ასეთი დახმარება მთავრობას ჯერ კიდევ არ გაუუქმებია.

✦ სენაკის მაზრის საერობო საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ საერობო არჩევნები მთელს მაზრაში და ქ. ფოთში გადაიდო ერთი კვირით 28 ივლისიდან 4 აგვისტოსთვის (ახ. სტ.) გადადებულია კანდიდატთა სიების წარდგენის ვადაც 28 ივლისამდე.

✦ საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსები გაიხსნება 1 მარიამობისთვეს დილის 11 საათზე კადეტთა კორპუსის შენობაში. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსებზე ჩამოსულ მსმენელთათვის ბინა და ყოველივე მოწყობილობა მოთავსებულია კადეტთა კორპუსში, გოლოვინის პროსპექტი, № 31.

✦ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ მის წარმომადგენელს ადგილი მიეცეს სამინისტროსთან არსებულ სხვადასხვა კომისიებში, რომელიც სწყვეტს კითხვას სახელმწიფო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ.

✦ სტამბოლის კონფერენცია. სომხის დელეგაციის თავმჯდომარე ა. აგარონიანი სტამბოლიდან ატყობინებს სომხის მისიას, რომ კონფერენცია გადადებულ იქმნა ორი კვირითო.

✦ საქონლის გაცვლა გამოცვლის კომიტეტმა აუცილებლად სცნო დაარსდეს ქართველ-გერმანელთა შერეული კომისია, გერმანიისა და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა გამოცვლის კითხვების გადასაჭრელათ. არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან: ვაჭრობა მრეწველობისა და ფინანსთა მინისტრის ამხანაგი გ. ნიკოლაძე; ვაჭრობა მრეწველობის კავშირიდან ჯაბადარი და კოოპერატივებიდან გოგებაშვილი.

**კრებები და მიტინგები.**

მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების შესდგება ოთხშაბათს, საღამოს 8 საათზე (ფრეილინის ქუჩა № 11).

— 30 ივლისს, ფრეილინის ქუჩა № 11) საღამოს 8 საათზე შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება.

**დიდუბე.**

20 ივლისს ნაშუადღევს 3 საათზე მემანქანე სერგო ლუკოვკინმა ბორჯომიდან რკინის გზით თფილისში ჩამოიტანა გზის სატკეპნი ორთქლის მანქანა. როდესაც ვაგონიდან გადმოიღო და გაახურა, ლუკოვკინმა თავისი თანაშემწე დასტოვა სადგურზე, რომ „დროგზედ“ დაელაგებინა ჩამოტანილი იარაღი, თითონ კი ორთქმავალი წაიყვანა დიდუბის ერთ ცარიელ ადგილზე დასაყენებლათ, რომელიც იმყოფება ტრამვაის შესახვევში. ჩაიყვანა მანქანა და მიატოვა უპატრონოდ და თითონ სადღაც წაბრძანდა. იქვე თურმე თამაშობდენ ყმაწვილები, ასულიყვნენ მანქანაზე. ერთ მათგანს გაეღო რეგულიატორი და მანქანა დაძრულიყო ადგილიდან. შეშინებული ყმაწვილები გადამხტარიყვნენ. მანქანას კი თავისი წინსვლა განეგრძო დასჯახებოდა სახლის ღობეს, შეემტვრია იგი, შესულიყო შიგ ეზოში და დასჯახებოდა შენობას, რომლის კუთხეც შეენგრია, კიდევ კარგი, რომ შიგ მცხოვრებნი არ იყვნენ, თორემ ერთი უბედურება დატრიალდებოდა. ლუკოვკინი, რომელიც მობრძანდა შემდეგ, წაიყვანეს მე-12 მილიციის კომისარიატში ოქმის შესადგენად, და იმედია ამისთანა პირები, რომლებიც თავიანთ დაუდევრობით საქმეს ახდენენ, შესაფერ სასჯელს მიიღებენ ვისგანაც ჯერ არს.

მეთვალყურე

## ლოთობა მუშა-ხელოსნებში

ლოთობის გავრცელებას ხელს უწყობს ცხოვრების არა ნორმალური პირობები, მისი მოუწყობლობა-მოუწესრიგებლობა. ეს ითქმის საზოგადოთ, მაგრამ მასთან ლოთობა მაჩვენებელია ხალხის კულტურულად დაბლა დგომისა და გაუნათლებლობისა. რამდენათ მაღლა დგას ესა თუ ის ხალხი კულტურულად, იმდენათ ნაკლებია მასში ლოთობა, და პირიქით, ამისი ცხადი მაგალითია რუსეთი, საცა საშინელი ლოთობაა გავრცელებული და მიტომ ხალხი საკმაოთ დიდ განსაცდელშიაც არის ჩავარდნილი.

ჩვენშიაც გვარიანათ არის მოდებული ლოთობა. განსაკუთრებით თვალებში ხვდება ეს მოვლენა დაკვირვებულ ადამიანს წვრილ სახელოსნოებში: მეწაღეებსა, დურგლებსა, მკერავებსა და სხვა მაგგვარებთან. მათ მისდევენ ფაბრიკა-ქარხნები, მსხვილი სახელოსნოები, სტამბა-ლიტოგრაფიები და სხვები. ძალიან ძნელათ, რომ იქ მომუშავეებში ლოთობას არ ჰქონდეს ადგილი. ხშირათ მუშა, თუ ძალიან მთვრალი არა, „გადაკრული“ მაინც მიდის სახელოსნოში, ზოგან კი იქვე ითვრება და შემდეგ მიეგდება ხოლმე სადმე კუთხეში და არხეინად სძინავს. ამას სჩადიან ხშირათ ეგრეთ წოდებული არჩეულები, და ცხადია შენიშვნის მიცემას ადვილათ ვეღარავინ უბედავს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ სახელოსნოებში ავტონომიური კომისიები, რომელთა მოვალეობაა ამასაც მიაქციონ ყურადღება, მაინც არაფერი კეთდება, ლოთი მუშა, რამდენიმეჯერ გაფრთხილების შემდეგაც იქვე რჩება და განაგრძობს ლოთობას.

ლოთობა რომ მეტათ მავნებელი მოვლენა არის, ამას ბევრი მუშა გრძნობს, მაგრამ საერთო ძალით მის წინაალმდეგ ბრძოლას კი არავინ აწარმოებს. თუ ამდენ ხანს შესაფერი ზომები არ მიგვიღია ლოთობასთან საბრძოლველათ, დღეს მაინც მივიღოთ, თორემ ისედაც მძიმე და აუტანელ მდგომარეობას მუშებისას ლოთობა კიდევ უფრო მეტად აუარესებს. საჭიროა როგორც თითოეული შეგნებული მუშისაგან, აგრეთვე მუშათა ორგანიზაციებისაგან ყოველი ზომების მიღება ლოთობის წინაალმდეგ. მხოლოდ შეერთებული ძალით შეგვეძლება მისი შემცირება მაინც, და თუ კვლავაც ძველებური გულგრილობა გამოვიჩინეთ, ამითი დავღუპავთ ჩვენს საქმეს, ხელს შევუწყობთ ჩვენს დაქვეითება-დაცემას.

მე ვფიქრობ, ამ გარემოებას მეტად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მუშათა კავშირების გამგეობებმაც.

ისევ ის.

## მეგრელებისადმი მოწოდება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მოხდა მეტათ მძიმე პირობებში... ამ აქტის გამოცხადების დღეებში სრულიად გამოურკვეველი იყო ჩვენი **საერთაშორისო** მდგომარეობა... **შინაც** საქმეები აწეწილ-დაწეწილი გვქონდა და, ამასთან ერთად, საჭირო და აუცილებელი შეიქნა მართვა-**გამგეობის** ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა, თანახმად დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებისა...

ასეთ გართულებულ მდგომარეობაში მოქმედ მთავრობას, რასაკვირველია, ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. ამიტომ წარმოიშვა სხვადასხვა კერძო საზოგადოებანი, რომელთაც მიზნათ დაისახეს მთავრობის მძიმე მოვალეობის შემსუბუქება და მისი დახმარება. ასეთი საზოგადოებანი არიან: გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, დუშელთა და სხვა ამგვარი საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათა პირდაპირი დანიშნულებაა სურსათის მიწოდება და საექიმო-სასანიტარო დახმარება, იმ კუთხის მცხოვრებთათვის, რომელნიც განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მართალია, სურსათის მიწოდება და საექიმო-სასანიტარო დახმარება სახელმწიფოს საქმეა, და მისი თემობრივად მოწყობა სრულიადაც საჭირო არ იყო, მაგრამ პრაქტიკამ ასეთი საშუალება, ჯერ-ჯერობით მაინც, საჭიროდ სცნო; მით უმეტეს, რომ ყოველ კუთხის ადგილობრივი პირობების ცოდნა გაცილებით ადვილია ამავე კუთხის მკვიდრთა საზოგადოებებისათვის, ვინემ საერთო ხასიათის ორგანიზაციისათვის. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში ასეთი თემობრივი დამხმარე კომიტეტები უეჭველად შეერთდებიან და შეჰქმნიან ერთს მთლიან სრულიად საქართველოს დამხმარე კომიტეტს...

სამეგრელოს მკვიდრნო, აი, ასეთია ის მიზეზები და მოსაზრებანი, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის შექმნის დროს. მისი დანიშნულება, რასაკვირველია, ისეთივეა, როგორიც არის ზემო დასახელებულ კომიტეტებისა; მაშასადამე, საჭირო შეიქნა განსაცდელში ჩავარდნილ სამეგრელოს დახმარება ზნეობრივად და ნივთიერად. ამიტომაც მოწვეულ იქნა თფილისში მცხოვრებ მეგრელთა კრება, რომელმაც ამოგვირჩია ხსენებულ კომიტეტში და დაგვავალა ამ საქმისთვის ნივთიერ წყაროს აღმოჩენა.

ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი დამხმარე, რასაკვირველია, არის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, მაგრამ, ამასთან ერთად საჭიროა ფართე საზოგადოების ამოძრავება და შემოწირულებათა შეგროვება, რათა პირნათლად იქნეს შესრულებული ჩვენი მოვალეობა სამეგრელოსა და საერთო სამშობლო საქართველოს წინაშე!.

მეგრელებო, ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს ამ ისტორიულ ჟამს! იცოდეთ, რომ თქვენი თუნდ მცირედი დახმარებით—უდიდეს საქმეს აკეთებთ!.. იცოდეთ, რომ ამით თქვენ იხსნით ანარქიისაგან საკუთარ კუთხეს და შეუნარჩუნებთ დამოუკიდებლობას ჩვენს ტურფა სამშობლოს!..

ვისაც სწამს საკუთარი მხარე და შესწევს გონიერება დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს დაფასებისა, იგი, განურჩევლად პოლიტიკურ მიმართულებისა, არ დაიშურებს თავის წვლილის გაღებას სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის სასარგებლოდ!..

**შემოწირულებებს** მიიღებს კომიტეტის ხაზინადარი—**ქ. ნადეჟდა ჯინორიას** ასული შალამბერიძისა, საკუთარ ბინაზე, პეტროგრადის ქ. № 7, ტელეფონის № 3—69.

P. S. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად—საჭიროთ ვცანით გამოვაცხადოთ ვინაობა იმ პირთა, რომელნიც შედიან, **სამეგრელოს დამხმარე მთავარ კომიტეტში** და რომელთაც, ხაზინადართან ერთად შეუძლიათ შემოწირულებების მიღება; ესენი არიან ყველა პარტიის წარმომადგენელნი და უპარტიონიც—სახელდობრ: თავმჯდომარე: დიმიტრი ხოშტარია მწერლობაში დუტუ მეგრელი (უპარტიო); წევრები: სოც.-დემოკრატები — გრიგოლ ივანეს ძე ჩოჩია, ივანე პეტრეს ძე მზარეულუა და ფილიპე უშანგის ძე ჯალაღონია; სოც.-ფედერალისტები—კლიმენტი ბესარიონის ძე ცომაია და პლატონ ოტიას ძე კორძახია; სოც.-რევ. პროკოფი ესტატეს ძე სურმავა; ნაც.-დემოკრატი ექიმი ევგენი ლუკას ძე შალამბერიძე; რადიკალ-დემოკრატი დავით გიორგის ძე ჩიქოვანი; პერსონალურად (კოოპტაციით) ქ. ნადეჟდა ჯინორიას ასული შალამბერიძისა, ქ. მინადორა თურქიას ასული ხოშტარიასი, კაპიტონ გიორგის ძე მეუნარგია, კ. ბ. ნორაკიძე, აკაკი პეტრეს ძე სიგუა, ნოე ზურაბის ძე ბოკუჩავა, ვლადიმერ ევგენის ძე ჯინორია, დიომიდე თოფურიძე, აკაკი ხოშტარია და თეიმურაზ მელია.

**სამეგრელოს დამხმარე კომიტეტი.**

## თათბირი მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**სენაკის მაზრა.**

ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტების ყრილობამ გამოიმუშავა პროექტი მიწის რეფორმის გატარების შესახებ. ყველგან დაარსებულ იქნა სასოფლო კომისიები, რომლებსაც უნდა გამოერკვიათ სოფლებში მიწის რაოდენობა. გამოირკვა, რომ ისეთები, რომლებიც განიცდიდენ მიწის ნაკლებობას, 80 პროცენტი აღმოჩნდა. სოფლის კომისიებმა გაზაფხულზე დაურიგეს მიწები გლეხებს და ამითი ცოტა დააკმაყოფილა გლეხები და ამიტომაც იყო, რომ მიწების დატაცება არ მომხდარა, მაგრამ როცა კომისია წამოაყენებდა გადასახადის საკითხს, საქმე რთულდებოდა, და ამიტომ ეს კითხვა დროებით გადადებულ იქნა. 7 მარტის კანონის შემდეგ დაიწყო ანარქია, მაგრამ ანარქიას არავითარი დამოკიდებულება არ ქონდა მიწის რეფორმასთან, რადგანაც გლეხებს არსად არ წამოუყენებიათ ახალი მოთხოვნილება. მიწის მიმღები კომისია განაგრძობდა თავის მოღვაწეობას, სადაც ეს შესაძლებელი იყო. როგორც პირველათ გამოირკვა, ჩამოსართმევი მიწა უდრიდა 81,034 დესეტინას. ამათგან სამოსახლო 125 დეს., სავენახე—77 დეს., სახნავ სათესი—12489 დეს. საძოვარი—30594 დეს. ტყე—35927 დეს. მაგრამ როგორც დავრწმუნდით, ეს გამოკვლევა მართალი არ გამოდგა. სამ საზოგადოებაში მიღებულ იქმნა 14625 დეს.

დამტკიცებულ იქნა საშუალო ნორმათ გამოცხადებულ იქნას 7 დესიატინა.

როგორც ვიცით სენაკის მაზრაში კერძო მესაკუთრეთა რიცხვი უდრის 1300 მცხოვრებს. ასე რომ ნორმისათვის გამოსაყოფი იქნება 9,100 დეს. ეხლა მივიღეთ 23 ათასი დეს. ეს მიწა დაეყოფა რაიონებს ასე:

| | |
|---|---|
| სენაკის რაიონს | 1,462 დეს. |
| აბაშის — | — 1,468 დეს. |
| მარტვილის — | 6,816 დეს. |

ზოგიერთ ადგილას მიღებულ იქმნა ასეთი ნორმა: იმ ოჯახში, სადაც მუშა ხელი ერთის მეტი არ არის 15 ქცევა, სადაც ორია 20 ქცევა და სადაც სამია მუშა, იმას 25 ქცევა. სოფლის მცხოვრებლების უმრავლესობის აზრი ამ საგანზე არ ვიცით.

**ოზურგეთის მაზრა.**

მაზრაში მუშაობს მიწის მიმღები ორი კომისია. 25 საზოგადოებაში აღმოჩნდა 5911 დეს. სახნავი მიწა, ფონდში გადავიდა 31976 დეს დაუმუშავებელი მიწა კიდევ მეტია.

**ქუთაისის მაზრა.**

მაზრაში მუშაობს 5 მიმღები კომისია. მიღებულია 2495 დეს. მისაღებია 15104 დეს., მაგრამ უკანასკნელი რიცხვი არ შეიძლება სწორათ ჩაითვალოს. რადგან მრავალ ადგილას გაყიდულია მიწები და ხარჯით ამკრებ ინსპექტორის სია კი ძველი შედგენილია. აგრეთვე ამ რიცხვში არ შედის ტყეები, ანანოვის მამული და სხვ.

**შორაპნის მაზრა.**

მაზრაში მუშაობს 5 მიმღები კომისია 18 აპრილიდან. ამ ხნის განმავლობაში მიღებულია 1488 დესიატინა, მისაღებია კიდევ 15,821 დეს. აქედან 1.48 დეს. ეზოა, 130 დეს. ვენახი, 4175 დეს. სახნავი და 10,275 დეს. საბალახოა. ახლა ვე იღებდენ განსაკუთრებით თავადაზნაურების მიწებს. კერძოთ მფლობელების მიწები ჯერ კიდევ კანონის გამოცემამდე გადაცემული ქონდათ გლეხებს სამუშაოდ განსაზღვრულ პირობებში: იხდიდენ ან ფულს, ანუ მოსავლის შემოსავლის ნაწილს.

მიღებული 1488 დეს. უკვე გადაეცა გლეხებს, რომლებიც ამას ისე უყურებენ როგორც სახელმწიფოს საკუთრებას. 10 ივლისს სამაზრო ყრილობამ გამოიმუშავა იჯარის ნორმა. საიჯარო გადასახადი და მუნიციპალიზაცია საერთოდ აქაურ გლეხებისათვის მისაღებია. აგრარული რეფორმის გატარების წინაალმდეგობა თითქმის არსად არ გამოუწვევია. ტყის გაჩეხასაც ადგილი არ ჰქონია. საერთოდ მაზრაში აგრარულ ნიადაგზე უწესოება არ მომხდარა. საჩხერის ამბები მიწის საკითხის ნიადაგზე არ ყოფილა აღძრულებული. მიმდინარე წლისათვის გამომუშავებულ იქნა შემდეგი საიჯარო გადასახადი: პირველ ხარისხის მიწაზე 60 მ. (ქცევაზე), მეორე ხარისხის მიწაზე—30 მ. ასეთი ასეთი აწეული გადასახადის დაწესება გამოწვეულია პურის სიძვირით.

სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა შეუძლებლად სთვლის გლეხებისადმი მიწების საკუთრებად გადაცემას მანამ, სანამ ყველა მემამულეებს არ ჩამოერთმევათ მიწები და გლეხობა კარგათ არ გაერკვევა ამ რეფორმებში.

**ქუთაისის გუბ.**

საგუბერნიო წარმომადგენელი აკეთებს მთელ გუბ. აგრარული რეფორმის მდგომარეობის შესახებ საერთო მიმოხილვას. გუბერნიაში მიღებულია სულ, 34 ათასი დეს. მიწა; აქედან: 12 ათასი დეს. სახნავი მიწაა, დანარჩენს შეადგენს: ტყე, საბალახო, ჭაობი და სხვა. მუშაობის მცირე ნაყოფიერება აიხსნება იმ ანარქიით, რომელიც მძვინვარებს სხვადასხვა ადგილებში. ლეჩხუმის მაზრაში მაგ. მიმღებ კომისიას მუშაობა ჯერაც არ დაუწყია. რაჭის მაზრაში გაიგზავნა ორი მიმღები კომისია, მაგრამ ისინიც ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ იძულებულნი იყვნენ შეეწყვიტათ მუშაობა. ქუთაისის გუბერნიაში მდგომარეობა ისეთია, რომ ზუგდიდის მაზრაში იძულებული ვიყავით მუშაობა შეგვეჩერებია, ხოლო ლეჩხუმის და რაჭის მაზრებში სავსებით შეგვეწყვიტა—გლეხებში საოცარი სურვილი და მისწრაფებაა მიწების დატაცებისა, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ ის მიწები, შერჩებათ მათ, რომლებსაც ძალით ხელში ჩაიგდებენ. გლეხები, მიუხედავად კანონისა ყიდვა-გაყიდვას მალულად ფართოდ აწარმოებენ. კერძო საკუთრებისადმი მისწრაფება ძლიერია გლეხებში. ზუგდიდის და სენაკის მაზრებში ბნელი ძალები გაძლიერებულად მუშაობენ. გლეხებმა არ იციან მიწის კანონის ინაარსი. ჩვენის მხრით ამ ნიადაგზე არავითარი მუშაობა არ არის.

## საჩხერეში

**18 ივლისი.** გათენებისას მზვერავები წინ წავიდენ. ყველა პოზიციებზე სროლა გაძლიერდა, იერიში დაიწყო. ჩვენი ფრთა დაიძრა მთებით.

დილა მეტად უსიამოვნო იყო. ცივი ქარი ჰქროდა და ნელი წვიმა მოდიოდა. მთებიდან მოწინაალმდეგე სუსტათ გვიპასუხებდა.

ათი საათიდან ზარბაზნებმაც შექნეს ხმაურობა. ჰაერში ყუმბარები გადაგვისრიალებდა თავს ხოლმე და დანიშნულ ადგილას საზარლათ დაიქუხებდა.

— ეგ ჩვენი მოციქულია,—გაისმოდა ჩვენებში აქა-აქ ხმა ყუმბარის გასრიალებაზე.

ყველა ნაწილები სწრაფათ მიდიოდენ. გაშლილი „ცეპი“ გადაირბენდა. ატყდებოდა მთებიდან სროლა და ტყვიები თავებს ზევით გაისრიალებდა.

მთები სახიფათოა. ჩვენ შევუდექით ივანწმინდის მაღალ ქედებს. დაღლილი ხალხი მხნეთ მიიწევს ხევით. გაუვალ ეკალ-ბარდით მოცულ უღრან ტყეში მიიმალა ჩვენი რაზმი. ერთი მეორეს ვეღარც კი ვხედავთ, ისმის სროლა და სროლა.

წვიმამ თანდათან იმატა. აცივდა, ოფლი, სიცივე, კოკისპირული წვიმა და კლდე-ღრეებში სამხედრო წინსვლა ძნელი იყო, მაგრამ ვიჩქაროდით. გზაში ხელთ გვივარდებოდა ტყვეები. მოწინაალმდეგე ჯგუფ-ჯგუფათ გაისროდა და გარბოდა. გადავიარეთ სამი ქედი. წვიმამ იკლო, მხოლოდ მთებში ნიაღვარი მგზავრობას ძალზე გვიფერხებდა. საკოხის ქედის გვერდით ტყვეებით გადმოვიარეთ. ტყვეებმა „რეზერვში“ გაუგებრობა გამოიწვია და თოფით და „პულემიოტებით“ სროლა აგვიტეხეს. უკანიდან სროლა საჩქაროთ შეჩერდა. ამ სროლაში დაიჭრა აფთ. გურგენაძე.

გავედით საქორიაზე. მაღალი წვერიდან ძირს გამოჩნდა ჭალის ხეობა, ლამაზი სოფლებით. ყველა სახლებზე თეთრი დროშებია გამოკიდებული, აგრეთვე ზოგიერთ ხეებზე. მარჯვნივ, მთებში წინ მიიწევდა გამყრელიძის რაზმი და სროლას განაგრძობდა, მარცხნით მეთორმეტე პოლკის ნაწილი,—გურულებით და კავალერისტებით. ჭალას კი უახლოვდებოდა ფხაკაძის რაზმი და კაპ. იმხნელი შტაბით. სროლამაც იკლო. ჩვენ დავეშვით ქვევით და თანახმად გეგმისა გავსწიეთ ჭალისაკენ.

ცამ თანდათან მოიწმინდა, ცივი საღამო ჩამოდგა. შევედით ჭალაში. იქვე დაგვხვდა იმხნელი, ცხენოსანი რაზმი. შემოვიდა „პულემიოტთა კომანდა“. სოფელი დაცლილია. ქალები და ახალგაზრდები აღარ სჩანან, მოხუცები შეშინებული გამოიყურებიან.

გამოირკვა შემდეგი: ოსები ზემო მხარეებიდან და ქართლის ოსეთიდან, გარეშე „ბოლშევიკურ ბანდებთან“ ერთად ჭალას შემოესია, შეიერთა ადგილობრივი გლეხები იარაღით და უიარაღოთ და ხალხს უთხრეს უნდა დავიპყრათ საჩხერე, ჭიათურა, ავყაროთ რკინის გზები, გავილაშქროთ შემდეგ ქუთაისზე, დავამარცხოთ მთავრობა, რომელმაც გვიღალატა. შევებრძოლოთ ბატონყმობის დამცველ ჯარს, გვარდიას. მოგვივა დუშეთიდან ზარბაზნები, „პულემიოტები“, რაჭიდან დამხმარე ჯარი. აგიტაციით მოწამლული გლეხობა, დეზერტირები, ყაჩაღები, ხულიგანები შეუერთდენ მათ. ოსების და სხვა მხარედან მოსულ ბრბოთა სწორი რიცხვი არ იციან; ამბობენ—5000-დე იყოო; მათში დიდი ნაწილი შეიარაღებული იყო კეტებით, მათ მიემხრო ადგილობრივი მცხოვრებნი და დიდ ძალათ გადაიქცა. სოფლებში დაიწყო შეიარაღებულთა მობილიზაცია, დაარბიეს თავად აზნაურობა, ნაწილიც გლეხობა, სურსათს ხალხს ართმევდენ. ბრბოებს მეთაურობდა ცნობილი აფიცერი ხარებოვი, სხვა აფიცრებიც, გამოჩენილი ყაჩაღები, ძველათ ნამყოფი ოსი „სტრაჟნიკები“ „ბოლშევიკთა“ „აგიტატორები“. დაატყვევეს ბევრი. ზოგიერთები მოჰკლეს საჩხერედან გამორეკის შემდეგ. ბევრი გარეშეები ნადავლით წავიდენ. მაგრამ „აჯანყებულთა“ შტაბი შეუდგა რევანშისათვის მზადებას. გლეხები დაარწმუნეს და აიყოლიეს პროვოკაციაზე. განსაკუთრებით მათ ხელში ჩავარდნილ ტყვეებმა, რომლებიც ჩვენი ჯარების შესვლით განთავისუფლდა და დარჩენილმა ხალხმა მოგვითხრო, შედარებით ქართველ „ბანდიტებთან“ ოსები უფრო ულმობიერათ იქცეოდენო.

14–15 ივლისს მათ შტაბს გაევრცელებია ხმა,—ჩვენ ვიმარჯვებთ ყველგან ეხლა უნდა განვახორციელოთ ჩვენი მიზანიო. 16 ივლისს, ნაშუადღევს 1500-დე ოსი, ქართლის ბოლშევიკური ასეული, ადგილობრივ სოფლების ბანდები წამოსულიყვნენ საჩხერეს დასაპყრობათ. ამ შეიარაღებულ რაზმს თან გამოყოლოდა რამოდენიმე ათასი სოფელი ოსები, ქართველები—ტომრებით და აგრეთვე იმ მიზნით, რომ საჩხერეს რაიონში დავხოცავთ ჯარს, გვარდიას და შევაიარაღებთო.

შემდეგ ას[illegible] [illegible] დახევას; 17 ივლისს 10 საათიდან [illegible] გამორბოდენ, [illegible] ბი. 12 საათზე ჭალაში მოიყვანეს მძიმეთ დაჭრილი მეთაური ხარებოვი, რომელიც აქვე გარდაიცვალა. გაატარეს აგრეთვე რამოდენიმე დახოცილი აფიცერი. მთებიდანაც დაიწყეს წასვლა. როცა ვეკითხებოდით რა ამბავიაო,—პასუხს არ გვაძლევდენ. ჩვენ კი გვესმოდა საშინელი სროლის ხმა. საღამოს შტაბი მოიხსნა, მხოლოდ 18 ივლისიდან დასტოვეს ჭალა და წავიდენ. თან გაჰყვა მათ ადგილობრივი შეიარაღებული ხალხი; წასვლისას ადგილობრივათ მოენდომებიათ დატყვევებულთა დახვრეტა, მაგრამ ოსებს ხელი შეუშალათ.

ან. ხ.

## ფინანსთა სამინისტროსაგან

ფინანსთა სამინისტროს ცნობებით ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები განაგრძობენ დაგროვებას დიდ ძალი ფულებისა და ასეთ მდგომარეობას ხსნიან იმით, რომ მათ არ ჰყოფნით მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ის ფული, რომელსაც მათ აძლევენ განსაზღვრული ნორმებით ბანკები.

ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ აწ ბანკებს ევალებათ აძლიონ ჩეკებით განუსაზღვრელად და მოთხოვნისთანავე ის ფული, რომელიც შეტანილ იქნება ნაღდათ. ამისათვის წინადადება ეძლევა ყველა სახელმწიფო და იმ საზოგადო დაწესებულებათ, რომელთაც წესდება ავალებთ, შეიტანონ დაგროვილი ფულები სრულად სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშზე და ამ დავალების შესრულება შეატყობინონ ფინანსთა სამინისტროს.

ამ წინადადების აუსრულებლობა გასინჯული იქნება, როგორც კანონის მოთხოვნილების დარღვევა.

## პური აღარ არის!

(წერილი თელავიდან).

იმ დროს, როდესაც კახეთს ასეთი მოსავალი არასოდეს არ ახსოვს; იმ დროს, როდესაც, თვით გლეხების სიტყვით, ორი წლის მოსავალს მარტო წლევანდელი წელიწადი იძლევა კახეთის სამაზრო ქალაქებში შიმშილობაა.

ორი კვირაა, რაც თელავის მცხოვრებლები ქერით იკვებებიან. ფუთ ქერის ფქვილში 80 მან. აძლევდენ. მაგრამ დღეს ქერიც აღარ შემოიტანეს ბაზარზე და ასე შიმშილის აჩრდილი უკვე აშკარა გახდა.

რა საშუალებას მივმართოთ, რომ შიმშილობის ნიადაგზე წარმოშობილ ექცესებს თავი დავაღწიოთ? არის თუ არა იმედი, რომ ამ ცოტა ხანში მაინც შემოიტანენ სოფლებიდან პურს? მე მგონია, რომ ასეთი იმედი ძალზე საეჭვოა, რადგან დღევანდელი ბაზრის პირობები სრულებითაც არ აინტერესებს სოფელს ბაზარზე ჭირნახული გამოიტანოს.

სამი უმთავრესი პირობაა საჭირო, რომ ჩვენმა სოფლის მეურნეებმა თავისი მოსავალი გამოიტანონ ბაზარზე. ასეთი პირობებია: 1) ფულის საჭიროება მეურნისათვის, 2) შიში მის ნაწარმოებზე ფასის დაცემის და 3) მიმდინარე წლის რეალიზაცია იმ ინტერესით, რომ მომავალ წელს მეურნეობა გააფართოვოს.

პირველი პირობა, ანუ ფულის საჭიროება ამ ჟამათ გლეხისათვის არ არსებობს. მისი სკივრი ამ ჟამათ ქაღალდის ფულის ნაკლულოვნებას არ განიცდის. წინაალმდეგ, გლეხის გონებას შავ აჩრდილივით თავს დასტრიალებს შიში ქაღალდის ფულის გაუქმების შესახებ. ასეთი ხმები სოფლად ხშირათ ვრცელდება. მეორე—მის ჭირნახულზე ფასის დაცემა, გლეხს ამ ჟამათ სრულებითაც არ აშინებს, რადგან მთავრობამ პურის მონოპოლია—მტკიცე ფასების ცხოვრებაში გატარება ვერ შესძლო. როდესაც ივნისში გავრცელდა ხმები, რომ მთავრობა პურზე მონოპოლიის შემოღებას აპირობსო. ფასებმა მართლაც დაიკლეს. 10—15 თუმანზე ჩამოვიდა კოდი პურის ფასი სოფლებში, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მდგომარეობა გამოირკვა და მთავრობის გადაწყვეტილებაც მყისვე მოედვა სოფლებს. ეს გარემოება გლეხს იმას ეუბნება, რომ მისი ნაწარმოების ფასის ზღაპრული ზრდა უზრუნველ ყოფილა. მაშასადამე გლეხის აზრით, რამდენათაც მისი პური ბაზარზე გასვლას დააგვიანებს, იმდენათ მეტ ღირებულებას მიიღებს.

მესამე—საერთო პოლიტიკური მდგომარეობა, ანარქია სოფლად და მოუწყობლობა სოფლის საქმეებისა გლეხს იძულებულს ხდის ამ ჟამათ თავისი მეურნეობის გაფართოებაზე არ იფიქროს. საზოგადოთ სოფლის მეურნეობა მოითხოვს წყნარ-მშვიდობიან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და როდესაც სახელმწიფოს მდგომარეობა რყევაშია, მეურნე საქმის გაფართოვებას გაურბის.

აი, ყველა ეს მოსაზრებანი მე მგონია იმის მაჩვენებელნი არის, რომ ჩვენი

ბაზარი იშვიათად თუ ეღირსება სოფლებიდან პურის შემოტანას.

ვერც თავისუფალი ვაჭრობა გვიხსნის ამ მოჯადოებულ მდგომარეობიდან. თავისუფალ ვაჭრობას მხოლოდ მაშინ ექნებოდა დადებითი მნიშვნელობა, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში იმდენი პური მოდიოდეს, რამდენიც საჭიროა არა მარტო კახეთის გამოსაკვებათ, არამედ—მთელი საქართველოსათვის. ჩვენი ბაზარი თუ ეღირსება პურის შემოტანას ჩვენი სოფლებიდან, ეს მოხდება არა პირდაპირ მეურნის მიერ, არამედ სპეკულიანტის მეოხებით. სპეკულიანტი ისარგებლებს რა ბაზრის დაცარიელებით, გლეხს მიმართავს და როდესაც მას ყელთავამდე აავსებს ფულით და შეიძენს პურს, გამოიტანს ბაზარზე მას მაშინ, როდესაც ფასზე ვაჭრობას აღარ დაუწყებენ.

ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ხედავთ კახეთის სოფლებში. ჩარჩებმა პური უკვე ბლომათ შეიძინეს. ფუთი დაკვეთილი აქვთ უმეტეს ნაწილათ 100 მანეთად და როდესაც გლეხი ახალ პურს 100 მანეთად ჰყიდის ფუთს, იცით რას გებულობს გლეხი?

გადახედეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილს და თქვენთვის აშკარა იქნება.

ერთი დესეტინა ნახნავი საშუალო რიცხვით იძლევა 70 ფუთ ხორბალს, ე. ი. დღევანდელი მაზანდის მიხედვით 7,000 მანეთს.

გლეხს უჯდება დამუშავება:

| | |
|---|---|
| 1) მოხვნა დესეტინის . . . | 200 მან. |
| 2) თესლი 6 ფუთი . . . | 600 „ |
| 3) მომკა და აკონვა 10 მუშ.—25 მ | 250 „ |
| 4) 10 მუშის ხარჯი—20 მ. . | 200 „ |
| 5) გალეწვა 8 ფუთი . . . | 800 „ |
| 6) მიწის ღალა 3 ფუთი . . | 300 „ |
| 7) მოულოდნელი ხარჯები . | 100 „ |
| სულ ხარჯი | 2,440 მან. |

მაშასადამე ფუთი ხორბალი გლეხს უჯდება 35 მ. ჰყიდის მას სამჯერ უფრო ძვირათ—100 მ. აი რა პირობებში თანხმდება გლეხი გააღოს მხოლოდ თავისი ბედლის კარები. ეს ცნობები მე მიღებული მაქვს ოთხი რაიონიდან. როდესაც ყველა ცნობები შევაგროვე მოსავლის შესახებ, მივიღე დესეტინაზე 80 ფუთი, მაგრამ 10 ფუთს მე ვუკლებ, რომ უფრო სინამდვილით გამოვიანგარიშოთ მოხვნის შესახებაც ასევე მოვიქეცი. შემოდგომაზე საშუალო რიცხვით მოხვნა ღირდა 100 მ.—150 მანეთამდე, გაზაფხულზე კი 150 მან. 200 მანეთამდე. მე ავიღე მაქსიმალური რიცხვი. მუშებზედაც ასევე მოვიქეცი და მიუხედავათ ამისა ჩვენ წინ მაინც შემაძრწუნებელი სურათი იშლება. აქედან აშკარაა, თუ რა პირობებში ჩავარდება ჩვენი ბაზარი. გლეხი ბაზარს არ გაეკარება, მას ჩარჩი შინვე მიუდის. ბაზარზე გამოვა ჩარჩი, მას იქ მოქიშპე არავინ ეყოლება და პურს გამოიტანს მაშინ, როდესაც ამას კომერციული ინსტინქტი უკარნახებს. ხოლო თუ რას ნიშნავს დღევანდელ პირობებში კომერციული ინსტიქტი, ამაში ყველა ჩვენგანი მშვენივრათ გამოცდილია, ე. ი. ჩარჩი თუ ერთი სამად და ოთხად არ მოიგებს, ერთი ორათ ხომ აუცილებლათ.

მაშასადამე კიდევ რამდენიმე თვე და ბაზარზე ფუთი ხორბალი 200 მანეთი ეღირება.

აი რას ნიშნავს ამ ჟამათ თავისუფალი ვაჭრობა. მე უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ბრძოლა სპეკულიაციასთან, ბრძოლა ჩარჩების წინააღმდეგ გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მონოპოლიის შემოღება პურზე. და რომ ეს ასეა, ამას მშვენივრათ მოწმობს გერმანიის ცხოვრებაც გერმანიაში, ისე როგორც ჩვენში პირველად მონოპოლია არ შემოუღიათ. გერმანიის მთავრობამ პირველად სპეკულიანტებს გამოუცხადა ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლაში ის დამარცხდა და იძულებული გახდა მონოპოლიისათვის მიემართა. მაშასადამე სპეკულიანტებთან ბრძოლა გაცილებით ძნელი ყოფილა.

მაშ, რა საშუალებას უნდა მივმართოთ? მე მგონია ჩვენი მთავრობის წინაშე მხოლოდ ორი გზა არსებობს: პირველი—ეს არის საზღვარ-გარეთიდან პურის შემოტანა. საკმარისია კახეთში რამოდენიმე ვაგონი შემოტანილი პური გამოჩნდეს, რომ საერთო „პანიკამ“ მოიცვას როგორც ჩარჩები, ისე გლეხებიც. რომ ეს საშუალება ფასების ერთი ორათ და სამათ დაწევას გამოიწვევს, მეორე მხრით—ბაზარზე თვით გლეხი გამოვა თავისი პურით და იქ სოფელში ჩარჩის მისვლას სრულებით აღარ მოელოდება. რომ ფასიც აუცილებლათ დაეცემა, ეს მოხდება იმიტომ, რომ ბაზარზე თვით მწარმოებელი გლეხი გაუწევს კონკურენციას ჩარჩს.

თუ მთავრობამ საზღვარ გარეთიდან პურის შემოტანის საქმე ვერ მოაწყო, მაშინ ერთად ერთი გზა ისევ მონოპოლიის შემოღება დარჩება. სხვა გზა, სხვა საშუალება არ არის და ვერც ვერავინ გამოძებნის.

ხოლო რაც მალე იქნება შემოღებული ასეთი ნაბიჯი, მით უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი.

ვინც იტყვის, რომ ასეთი საშვალების ცხოვრებაში გასაყვანათ რეალური ძალა არა გვყავსო, მან უნდა აშკარათ აღიაროს ისიც, რომ მაშასადამე რამოდენიმე თვის შემდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი რესპუბლიკის ბედიც განწირულია.

ბ. ჭუმბურიძე.

## ჯარისკაცთა წერილები

**საქართველოს ინვალიდები.** მეხუთე წელია, რაც ეს საშინელება ომი, გრძელდება. ვინ იცის, რამდენი ხალხის შვილი იმსხვერპლა და რამდენი დასახიჩრებული დატოვა. ამ დასახიჩრებულებს ცოტათ თუ ბევრათ დახმარებას აძლევდა ალექსანდროვის კომიტეტი (Александровскій комитетъ о раненыхъ) ცოტაოდენი დახმარებით და სხვა რამე პრივილეგიებით. ბოლშევიკების გამოსვლის შემდეგ ეს კომიტეტი და ყველა მისი განყოფილებები გაუქმებულ იქნა და ამით მოესპოთ ჩვენს ინვალიდებს საშუალება მიეღოთ ის ცოტაოდენი გროში, რომელიც მათთვის სუხომლინოვის კომიტეტმა გაიმეტა, დღემდის ჩვენში მგონი არავის უფიქრია დაეარსებიათ ზემო-აღნიშნული კომიტეტის მსგავსი რამე, ხოლო უფრო სინიდისზე და სამართლიანობაზე აშენებული. რუსეთთან ჩამოშორების შემდეგ ბევრი ინვალიდები მოგვცა, როგორც გარეშე მტერთან ბრძოლამ, ისე შინაურთან. საჭიროა ასეთი პირების გაგება და ძველი ინვალიდებისაც, რომელიც დღეს უკვე მივიწყებულია და მთავრობისაგან დახმარება ფულით თუ რითაც იქნება. მე პირადათ ავიღებ მაგალითისთვის: ვარ დაჭრილი მხარში, ზურგში, ფილტვებში, მაქვს მიღებული ჭრილობა თავში და მასთან ჩამტვრეული მაქვს მარჯვენა გვერდის ოთხი ძვალი და, რადგან შესაფერი წამალი არ მიმიღია, დღესაც მორჩენილი არა ვარ და აწიც ნაკლებათ... სრულიათ მოკლებული ვარ ფიზიკურ შრომის უნარს. პრ. ს.—ძემ დაჰკარგა თითქმის თვალები და სხვა ბევრი. ასეთ ხალხს უნდა მიექცეს ცოტა ყურადღება.

ინვალიდი მიხაკო წილოსანი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ხიდისთავი** (გურია). ივლისის 19 ს შესდგა ხიდისთავის რაიონული კოლექტივის კრება. კრება ისმენს მოხსენებას სამაზრო ერობის არჩევნების შესახებ, რომელიც თანახმად საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა, უნდა გატარდეს დაჩქარებით. მსჯელობის შემდეგ კრებას გამოაქვს დადგენილება: მთელი ჩვენი ძალებით უნდა შემოვკრბეთ ერობის არჩევნების გარშემო, რომ ამ მომავალ დემოკრატიულ ორგანიზაციაში, რომლის შემოქმედებითი უნარზე იქნება დამოკიდებული მაზრის ეკონომიურ კულტურული წინსვლელობა, მოხვდნენ ხალხის ნამდვილი მესვეურნი და დაუღალავი მუშაკები. რაიონში ამომრჩევთა სიის შედგენა უნდა დამთავრდეს 1 აგვისტომდე. მეორეთ კრება ისმენს მოხსენებას „იაჩეიკებიდან“, ირკვევა, რომ ამ ხნის განმავლობაში პარტიულ ცხოვრებაში საყურადღებო არაფერი მომხდარა. კრება ავალებს წარმომადგენლებს გამართონ პარტიის წევრებთან საუბრები, აუხსნან და განუმარტონ მათ პარტიული წესდების მუხლები და სხვა. პაიჭესეულის „იაჩეიკის“ დადგენილება, ექვთიმე ლომთათიძის, როგორც სპეკულიანტის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, კრებამ საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ მიიღო. ადგილობრივ წვრილ კრედიტის ამხანაგობის შესახებ კრება ადგენს: განმეორებით ეცნობოს ამხანაგობის გამგეობას მოიწვიოს სულ ახლო მომავალში საზოგადო კრება და ამ კრებაზე გამგეობამ გააკეთოს მოხსენება ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ. ქ. მეგრელიძის განცხადება, რომ ის მის შესახებ გამოტანილ პარტიულ მსჯავრს არ სცნობს და შესდგეს პარტიული სასამართლო განმეორებით, კრებამ მოისმინა და დაადგინა: პრინციპიალურად პარტიულ სასამართლოში გაყოლის საწინააღმდეგო კოლექტივს არაფერი აქვს, ხოლოდ მეგრელიძემ, თანახმად პარტიულ წესდებისა უნდა მიმართოს საოლქო კომიტეტს.

შემოდის შეკითხვა, თუ რისთვის არ გატარდა პრესაში ცნობა სანდრო თედორაძის პარტიიდან გადაყენების შესახებ.

გამოირკვა, რომ 23 მაისის სხდომას, სადაც დადგენილ იქნა ს. თედორაძის პარტიიდან გადაყენება, ასეთი დადგენილებაც მიუღია: „ს. თედორაძის განცხადება, რომ ის კოლექტივის დადგენილებას მის შესახებ ასაჩივრებს გურიის ცენტ. კომიტეტში, კრებამ მიიღო და დადგენილების „იაჩეიკებში“ გადატანა და გამოქვეყნება გურიის კომიტეტში საქმის განხილვამდე, გადასდო“. კრება ამ დადგენილებას წინანდელ კრებისას გაუქმებულად აცხადებს.

შ.

**ლეხ-ონოღიის საზოგადოება.** ივლისის 13 ს მოხდა ამ საზოგადოების ს. დ. პარტიის კოლექტივის კრება. გასარჩევი იყო ორი საკითხი: პრეზიდიუმის არჩევა და ერობა. პრეზიდიუმში, ერთხმად არჩეულ იქნენ თავმჯ. სტ. ნაჭყეპია, მის ამხანაგად სერგი ჯიქია, მდივნად ერმ. გვილავა, პრეზიდიუმის წევრად კ. ქაჯაია. სარაიონო კოლექტივის წევრად არჩეულ იქნენ: ალ. გაბუნია, პართენი ჯიქია და ერმილე გვილავა. ერობის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა, კოლექტივის უმთავრესი ყურადღება მიქცეულ იქნას ერობაზე, რომლის არჩევნები მოხდება ივლისის 28-ს. კრებამ გაარჩია აგრეთვე წვრილი საკითხები.

პ. ანოღოელი.

## პროვინცია

**ბანძა.** (სამეგრელო) დიდი ხნის სურვილი ჩვენი დემოკრატიისა ერობის შემოღების შესახებ ხორციელდება და ცხოვრებაშიც მალე იქნება გატარებული. როგორც გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში, ისე სენაკის მაზრაშიც შეუდგენ ამ ნიადაგზე მუშაობას. 19 ივლისს ბანძის ს. დ. მ. პარტიის ბიუროში შეიკრიბენ 5 საზოგადოების: ბანძა, ლეხაინდრაო, ჯოლევი, აბედათი და ნახუნოუს პარტიული ამხანაგები და იქონიეს მსჯელობა ერობის არჩევნებზე. ამის შესახებ ჩვენ სასურველად ვსცანით მოლაპარაკების გამართვა სხვა პარტიებთან და შეთანხმება, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომ მოწვეულ იქნა სოც.-ფედერალისტების და ს. რევოლიუციონერების წარმომადგენლები. ს.-რევოლიუციონერებმა, სულ სხვა კილოზე დაიწყეს ლაპარაკი და მათ ვერ შეუთანხმდით, ს.-ფედერალისტებს კი შეუთანხმდით და კანდიდატებიც დავასახელეთ. 21 ივლისს როგორც ყველა ზემოხსენებულ სოფლებში, ისე ბანძაშიც მოხდა საზოგადო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ჩვენი პარტიის სახელით ამხ. დ. აჯიაშვილმა. მომხსენებელმა გააცნო საზოგადოებას ერობის მნიშვნელობა და ის იყო კრებაც თავდებოდა, რომ კარგად შეზარხოშებულ ნაციონალ-დემოკრატ. გრიგოლ ფილავამ თავისი უწმაწური სიტყვებით ერთი აურზაური ასტეხა საზოგადოებაში, ის ჯერ მისდგა და ლანძღა პირდათ ამხანაგი აჯიაშვილი და შემდეგ ჩვენი პარტია. ათასი ცილის წამებით აიყოლია რამოდენიმე გახულიგანებული და სკანდალი ასტეხა.

ასე „მუშაობენ“ ზოგიერთი ნაციონალ დემოკრატები ჩვენი სახელმწიფოს ასაშენებლად.

პ. ორქელი.

**ხ. იანეთი.** (ქუთ. მაზრა). 20 ივლისს ადგილობრივ ორკლასიან სკოლის მასწავლებლების ხელმძღვანელობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენა საერთოდ კარგად ჩატარდა. ზოგიერთ მოთამაშეებს კი ეტყობოდათ როლების უცოდინარობა. კარგი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზე დ. ხეთერელმა და ი. კოპალეიშვილმა. წაკითხულ იქნა აგრეთვე ლექსები და სცენები. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. წმიდა შემოსავალი დარჩა 1,400 მ. კარგი იქნება, რომ ფულს სასწავლებელს მოახმარდენ. მადლობის ღირსია გამგეობის წევრნი ანნა და ნ. კოხრეიძები, რომელთა ინიციატორობით გაიმართა წარმოდგენა. საჭიროა ასეთი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს.

მასწ. გიორგი ძივწივაძე.

**ხოფ ბურდიანი** (კახეთი). 5 ივლისს (ახ. სტ.) გავემგზავრე ჩემს სამშობლო სოფელ ბურდიანში, რომელიც მდებარეობს ცივის კალთაზე. ეს სოფელი შესდგება 72 კომლისაგან. მეტი ნაწილი გლეხებისა ნაყმევებია. მეორე დღეს ჩემის თხოვნით, კომისარმა შეკრიბა მცხოვრებნი, რომელთაც გავაცანი რევოლიუციის ამბები, მისი თანდათანი ცვალებადობა, ბოლშევიკები, დაარსება ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და ბოლოს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსება, ჩვენი მიზნის და მონაპოვართა შესანარჩუნებლად, როგორც უკანასკნელი საშუალება. გავაცანი აგრეთვე ჩვენში მთავრობის ცვალებადობა და ბოლოს ჩვენი ბელადის ნ. ჟორდანიას მთავრობაში შესვლის მიზეზები. ვესაუბრე აგრეთვე წითელი გვარდიის შესახებ, რომელზედაც ცუდი შეხედულება ჰქონდათ, ხალხს ჩანერგილი ბოროტი ადამიანის მზაკვრულის ენით. ხალხი დიდათ ნასიამოვნები და მხიარული დარჩა, უფრო სიხარული გამოიწვია ჟორდანიას მთავრობის სათავეში მოქცევის ამბავმა, რომელზედაც ამყარებს თავის იმედებს ჩაგრული ხალხი და ამ იმედს ჰხატავენ თავიანთი ასეთი დასკვნით: ეხლა ძმავ საქმე ალბად ჩვენს სასარგებლოდ დაბოლოვდება, რადგანაც გვყავს ჩვენი გულის პასუხი მცოდნე მთავრობის სათავეში, ჩვენი ნოე ჟორდანიაო. აქნობამდისინ კი გვეფიქრებოდა, ვაი თუ ბურჟუებმა დაგვძალონ და თავიანთ სასარგებლოდ მოაბრუნონ მთავრობაო. მათის ნალაპარაკევიდან შევიტყვეთ, რომ მათ აწუხებს უწესრიგო მმართველობა სოფლად და მთავრობის ასე გულცივად მოპყრობა, როდესაც სოფელში არ მოიპოვება ნამდვილი მცოდნე პირი მმართველი სოფლისა, რადგან უვიცისაგან მოსალოდნელია ბევრი შეცდომის დაშვება, რაიც გახდება ხელის შემშლელი სოფლის მყუდრო მუშაობისა და ცხოვრებისა.

ამ სოფელს აქვს დავა მიწების შესახებ სოფელ ჩაილურთან, რომელნიც თვისის ძალით აღმატებულნი ემუქრებიან მათ, რომ ჩვენ ბევრნი ვართ და თუ თქვენ არ დაიშლით, ბურდიანელებო, თქვენი აზრის განხორციელებაზე ფიქრს ჩვენ შევძლებთ თქვენს დაჭკვიანებას იარაღით. საქმე შემდეგშია: სადავო ადგილი ყოფილ თავადებისა იყო ძველად მხოლოდ პლანში საზღვრები, რომელიც ჰყოფენ ჩაილურიდან ბურდიანს ამ ადგილს აკუთვნებს ბურდიანელ გლეხთ და უკანასკნელნიც სცდილობენ ისარგებლონ; უგზავნიან წარმომადგენლებს ჩაილურებში შემდეგის წინადადებით: მოიცადეთ ვიდრე გამნაწილებელი კომისია გაივლიდეს და მაშინ თუ ჩვენ აღგვემატება ხსენებული მიწებიდან ნაწილი იუფლეთ, ეს ხომ არავის განსაკუთრებულს საკუთრებად არ არის, გარდა საქართველოს რესპუბლიკისა და ჩვენ ამ რესპუბლიკის მოქალაქეთ გვაქვს ყველას უფლება თანაბრად ვსარგებლობდეთ მისი მიწა წყლით, მხოლოდ მთავრობას ვაცადოთ და ის მოგვაშველებსო. წინააღმდეგ ამ წინადადებისა იქცევიან ჩაილურლები და გაიძახიან, აბა ჩამოდით და მოხანით თუ პატრონიანათ გუთნებს—გუთნეულებით არ დაგატყვევებთ. ასე, რომ თუ მთავრობა ახლავე არ მიიღებს ჯეროვანს ზომას, ამ ორ სოფელში მიწის გამო აუცილებლად მოსალოდნელია შეტაკება.

არა ნაკლები საყურადღებოა შემდეგი ამბავიც: ახალ გაზაფხულზე სოფელ ბურდიანიდან სხვადასხვა დროს დაიკარგა 12 მსხვილი საქონელი. უკანასკნელ დანაკარგმა ძლიერ გაამწარა სოფლელნი და კომლზე კაცი გავიდა თურმე სადარაჯოთ. ამათ მიაგნეს ბოროტ ნაძირალთ, იპოვეს მათ ხელში და აღმოაჩინეს; ეს ბოროტნი პირნი აღმოჩნდნენ მანავის მცხოვრებელნი. მათ მიმართეს მანავის ხალხს და კომისარს და საზოგადო ყრილობის დადგენილებით იქნენ დამნაშავენი დახვრეტით გასამართლებულნი. ეხლა, როგორც ირკვევა მათ დარჩენიათ ამხანაგები, რომელნიც მუქარას უთვლიან ბურდიანელთ, სამაგიეროს გადაგიხდითო. მოხდა ერთი ამბავი 13-ს ჩემს იქ ყოფნის დროს: საღამო ჟამს 8 საათზე სოფლისკენ მომავალი საქონელი რიცხვით 30 სულზე მეტი ბოროტ პირთ გადასხლიტეს სოფლის ბოლოდან. მწყემსები ყვირილით შემოცვივდნენ სოფელში და მოიტანეს ამბავი, რომ ოთხი შეიარაღებული კაცი გადაეღობათ მათ და გაირეკეს საქონელი. სოფელი ხუთი წამის განმავლობაში, როგორც ერთი კაცი ფეხზე იდგა, დაედევნენ მძარცველებს და თოფის სროლით და ყიჟინით შესძლეს დაბრუნება საქონლისა. ამ ამბავს სოფლელნი აბრალებდენ დახვრეტილ ამხანაგებს.

ხალხი დაშურებით ჰკრებს მინდვრის მოსავალს, რომელიც საშვალოზე მეტს აღემატება. სიცხეებმა სიმინდებს და ფეტვებს ძლიერ გაუჭირა საქმე, მაგრამ მაინც არა უშავს რა, შრომისას აიყენებს.

ყოველივე მწვავე და საჭირბოროტო კითხვებში გასარკვევათ სოფელი საჭიროებს მთავრობის დახმარებას და მუდამ მას გაჰყვება „ოღონდ გვიშველოს, რომ წესიერად ვიცხოვროთო“.

ბურდიანელი.

**სად. ნიგოითი.** ცხრა თვის წინათ აქ დაარსდა ნიგოითის რაიონის კოოპერატივების კავშირი, კავშირის დაარსების ინიციატივა ეკუთვნის ს. ამაღლების, აკეთის და ნიგოითის კოოპერატივების გამგეობას; კავშირმა აუცილებელ საჭიროთ სცნო, აქ დაეარსებია სასადილო; ეს ალაგი გურიისათვის ითვლება სამგზავრო ცენტრათ. აქ მგზავრები დღემდის დიდ გაჭირვებას განიცდიდენ; ლამით მოსულ მგზავრს არ ჰქონდა საშკალება ღამე გაეთია, შედარებით იაფ-ფასებში რამე ეჭამა, ბარგი შეენახა დროებით და სხვა. კერძოთ მოვაჭრე კი ერთ სადილს თუ ვახშამში ტყავს გაგაძრობდა და ისე გამოგისტუმრებდა.

დაარსდა თუ არა აქ კოოპ. სასადილო, მგზავრების მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდა; ამ სასადილომ დიდი სამსახური გაუწია მგზავრებს. პირველ ხანებში სასადილომ მართალია იზარალა 150 მან. სამაგიეროდ ივნისში ყოველ ხარჯს გარეშე 200 მან. დარჩა მოგება.

საჭიროა აქაურმა კავშირმა იზრუნოს ამ სასადილოსთვის საკუთარი შენობა იქნეს აგებული.

დ. ბაისაშვილი.

**ს. ონოღია** (სამეგრელო). ივლისის 14-ს ს. ონოღიაში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დაიდგა წარმოდგენა ადგ. სამკითხველოს სასარგებლოთ. ხალხი საკმაო დაესწრო: წეს რიგი საუცხოვოდ იყო დაცული. წარმოდგენაც გვარიანად ჩატარდა. სულ შემოვიდა 289 მ., წმინდა შემოსავალი დარჩა 166 მან. და 75 კაპ., რომელიც მოხმარდება სამკითხველოს.

პ. ონოღიელი.

**დაბა ხარაგაული.** კვირას, ივლისის 14-ს, დაბა ხარაგოულში ჩამოვიდნენ თფილისიდან ნავთლუღის წითელი გვარდიის შტაბიდან ამხანაგები: ს. ერთაწმინდელი და ნ. ნუცუბიძე, და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით იქმნა გამართული საღამო, ტრაღიკულათ მოკლულის ნავთლუღის წითელ გვარდიელის პავლე ვასილის ძე აბაშიძის ოჯახის სასარგებლოთ. სულ შემოვიდა წმინდა შემოსავალი 400 მ. რომელიც გადაეცა დანიშნულებისამებრ.

საღამოს გამგე კოწია აბაშიძე.

**დაბა აბაშა.** ივლისს 21-ს გაიმართა დიდი სეირნობა, რომელსაც დაესწრო მრავალი ხალხი. შემოსავლის 50 პროც. გადადებულ იქნა სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდისთვის, 50 პროც. კი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის სასარგებლოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ გასართობებს, წარმოდგენებს და ლექციებს აქაური ხალხი კარგათ ეკიდება. სასურველია აქ დაარსდეს სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატიურათ გამართავს წარმოდგენებს და ამით ხელს შეუწყობს მცხოვრებლების კულტურულ გონებრივ და დაავალა მას მადლობა განვათარებას; პარტიულმა ორგანიზაციამ, რაც შეიძლება ხშირათ უნდა მოაწყოს ლექციები—სხვადასხვა თანამედროვე კითხვებზე აქამდე სამკითხველო არ აღუდგენიათ. საჭირო კია მისი განახლება.

ქ. სახოჩიელი.

## ცნობები

ჯარის კაცები ილია ამირანას ძე მეცხვარეიშვილი და ვასილ პავლეს ძე ჩიტიძე მსახურებდნენ 1-ლ ქართულ მსროლელ პოლკში, ბათუმთან ბრძოლის შემდეგ არაფერი არ ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ფოთი 3 ქართულ მსროლელთა პოლკ. „ნესტროევაია“ როტა ნესტორ მეცხვარეიშვილი.

ჯარის-კაცი ვასილ გოგოლაძე მსახურებდა პეტროგრადში, მომქმედ ჯარში. მსროლელ პოლკში, მეხუთე ცხენოსანთა დივიზიაში, მეშვიდე ესკადრონში, 28 ოკტომბერს შემდეგ 1917 წ. მისმა მშობლებმა არაფერი არ იცის. თუ ვინმემ იცის რაიმე გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: სადგური ცემი, ბორჯომ-ბაკურიანის გზა მიხეილ გოგოლაძეს.

**ექიმი ი. გ. კონიევი.**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3. (24—2)

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—26

**კერძო მიხეილის საავადმყოფო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14; ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
**მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტის** შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. ძლდიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, საბ. სვანიშვილისა. ტელ. № 3—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
**ექიმ დონხინისა.**
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

**დემოკრატიული კლუბი (მუშტაიდში)**
ოთხშაბათს, 31 მკათათვეს 1918 წ.
„ქართველ მომღერალთა გუნდი“ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით
მართავს 3 განყოფილებათ
**სახალხო კონცერტს**
გუნდი შეასრულებს ძველ სახალხო სიმღერებს და სხვათა შორის გლეხურ ცხოვრებიდან „ჩონახ“, „კახურს“, „ზამთარს“, „ფერხულს“ და „ცანგალას“.
მონაწილეობენ: ძმ. კავსაძენი, ჯანდიერი, უსტიაშვილი, საღირაშვილი, ინასარიძე და სხვანი.
გამგე: ნიკო კავსაძე. დაწვრილებით პროგრამებში.
დასაწყისი საღ. სრულ 7 ნახ. საათზე. (2—1)

**განცხადება**
ციხის ინსპექცია იწვევს იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვს დაიკავოს მთავარი ციხის უფროსის თანაშემწეობა, შეატყობინონ ამის შესახებ ინსპექციას, განოვის ქუჩა, № 11. მსურველს საჭიროა მიღებული ჰქონდეს არა ნაკლებ საშუალო სწავლა-განათლება (სასურველია უმაღლესი—იურიდიული), იყვეს სამხედრო სამსახურში ნამყოფი, პოლკოვნიკის ან კაპიტანის ჩინში მყოფი, ენერგიული და შრომის მოყვარე კაცი, რომელიც მოწადინებულია შეისწავლოს საციხოვნო საქმე.
ცოდნა სახელმწიფო ენისა—ქართულისა—აუცილებელია. სასურველია აგრეთვე იცოდეს ერთ ერთი უცხო ენა.
პირობები: სახაზინო ბინა, გათბობა-განათებით, ეტლი და კარგი ჯამაგირი. (1—1)

**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**

მეწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.